# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№168 (9999) 2025 წლის 22 დეკემბერი, ორშაბათი


**ქვეყანაც რომ დაიქცეს, კანონი მაინც უნდა აღსრულდეს!**




# „ულოგიკობის ლოგიკა“




## სტალინი – გენიალური „დიქტატორი“




## ჩამოშლილი მსოფლიო წესრიგის ანატომია




ახალი ქალაქი – ნინო ლაცაბიძე! დიდი ისტორია – გივი ჯახუა!

## მომავალ წლებში ქვეყნისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება! ②




## მრავალ ახალ წელს, ჩაგუნავებო!



„მე აფხაზეთისთვის“ ⑫

## 2025 წლის მთავარი ჯილდო პატრიარქს გადაეცა

**ევროკავშირის უკანასკნელი შანტაჟი**




## უვიზო მიმოსვლა, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი!


ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



## წინასაახალწლო განწყობა

# მომავალ წლებში ქვეყნისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება!

**მომავალი წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი აქედანვე გამორჩეულად პოზიტიურია. ეს მთავრობას დამატებით ოპტიმიზმს უსახავს. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური წინსვლა შეუქცევადი იქნება მომდევნო წლებში და 2030 წლისთვის საქართველო მაღალშემოსავლიანი ქვეყანა ნამდვილად გახდება.**

**ორგანიზაცია „ბალთ ენდ თაგარტის" პროგნოზით, 2026 წელს, საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზრდება. ამას ხელს შეუწყობს სოლიდური სავალუტო შემოდინებების გაგრძელება, ლარის სტაბილურობა და ინფლაციის ტემპის შენელება.**

**„2025 წელს, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა მაღალი ზრდის ტემპი და 2025 წლის იანვარ-ოქტომბერში რეალური მშპ 7.6%-ით გაიზარდა, ხოლო საერთაშორისო რეზერვებმა რეკორდულ - 5.8 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. ეკონომიკური ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო მოხმარება, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ძლიერი სავალუტო შემოდინებები და ლარის სტაბილურობა.**

**ჩვენი პროგნოზით, 2026 წელს, საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზრდება, რასაც ხელს შეუწყობს სოლიდური სავალუტო შემოდინებების გაგრძელება (განსაკუთრებით ტურიზმიდან, რომლის შემოსავალიც 4.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს, ჩვენი შეფასებით), ლარის სტაბილურობა და ინფლაციის ტემპის შენელება, რაც სამომხმარებლო და საინვესტიციო განწყობებზე პოზიტიურად აისახება.**

**დამატებით, ეკონომიკურ აქტივობაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს მთავრობის კაპიტალური ხარჯების 9.4%-იანი წლიური ზრდა და მონეტარული პოლიტიკის მოსალოდნელი შერბილება. ჩვენი პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა 5.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი. ამასთან, რისკები ძირითადად პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ გაურკვევლობებს უკავშირდება",** – აღნიშნულია კვლევაში.

ამასთანავე, „გალთ ენდ თაგარტის" პროგნოზით, 2026 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 3%- მდე შენელდება.

**„ორწლიანი დაბალი ინფლაციის პერიოდის შემდეგ, ფასებზე ზეწოლა 2025 წლის მარტიდან დაიწყო და წლიურმა ინფლაციამ 4.8%-ს მიაღწია ნოემბერში, რაც ძირითადად სურსათისა და ჯანდაცვის ხარჯების ზრდით იყო განპირობებული. ჩვენი პროგნოზით, ინფლაციის მნიშვნელოვანი შენელების პროცესი 2026 წლის მარტიდან დაიწყება, რასაც მეტწილად ზემოთ აღნიშნულ კატეგორიებში ფასების ზრდის ტემპის შენელება განაპირობებს საბაზო ეფექტის გავლენით.**

**ჩვენი საბაზისო პროგნოზით, 2026 წელს, საშუალო წლიური ინფლაცია 3%-მდე შენელდება 2025 წლის მოსალოდნელი 3.9%-ის შემდეგ, რაც შესაძლებელს გახდის სებ-მა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 საბაზისო პუნქტით, 7.5%-მდე შეამციროს 2026 წლის განმავლობაში",** – აღნიშნულია „გალთ ენდ თაგარტის" ბაზრის მიმოხილვაში.

ასეთი დადებითი დინამიკის ფონზე, მთავრობა დარწმუნებულია, რომ 2030 წლისთვის, საქართველო მაღალშემოსავლიანი ქვეყანა გახდება და კეთილდღეობის დონე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკების შესადარი იქნება. ფინანსთა მინისტრის მოადგილის **მიხეილ დუნდუას** თქმით, რაც უფრო დიდია ეკონომიკა, მით უფრო დიდია დაინტერესება ბიზნესწრეების მხრიდან იმისთვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელება მოხდეს.

**„წელს ეკონომიკური ზრდა 7-8%-ის დონეზე უნდა იყოს და მომავალ წელს უფრო გაიზრდება. ბუნებრივია, ჩვენ ფრთხილი მიდგომა გვაქვს და სჯობს, ფრთხილი და პოტენციური მაჩვენებელი დავისახოთ. თუ შევხედავთ პრაქტიკას მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა გვქონდა, ვიდრე პროგნოზი, თუნდაც სავალუტო ფონდისა და მთავრობის.**

**რაც შეეხება ეკონომიკურ მაჩვენებლებს, წელს დოლარში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექნება და მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10 000 დოლარს გადააჭარბებს. ჩვენ მივდივართ იმ მიმართულებით, რომ 2030 წლისთვის, მაღალ-**



**შემოსავლიანი ქვეყანა გავხდეთ და ნამდვილად გავხდებით. ეს საბოლოო ჯამში გამოიწვევს იმას, რომ კეთილდღეობის დონე იქნება შესადარი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკებისა. ყველაზე მზად ვიქნებით სტრუქტურაში ინტეგრაციისთვის",** – განაცხადა **დუნდუამ.**

ამ მხრივ საყურადღებოა „ატლანტიკური საბჭოს" კეთილდღეობის 2025 წლის ინდექსის მონაცემები, სადაც საქართველომ ისტორიული მაქსიმუმი დააფიქსირა და კეთილდღეობის ინდექსის გაუმჯობესებით 21-ე საუკუნის საუკეთესო სამეულში მოხვდა. რეიტინგი ზაფხულის ბოლოს გამოქვეყნდა და მას შემდეგ მონაცემები არ განახლებულა. კვლევაში საზოგადოებრივი კეთილდღეობა შეფასებულია მოსახლეობის შემოსავლების დონის, სოციალური თანასწორობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის, განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გათვალისწინებით.

**2001-2024 წლებში, მსოფლიოში საზოგადოებრივი კეთილდღეობა 7.5%-ით გაუმჯობესდა, ევროპაში – 6.7%-ით, ევროკავშირში – 5.5%-ით, საქართველოში კი – 17%-ით.**

**საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა 2012 წლის შემდეგ მიღწეული პროგრესის მიხედვით – ორგანიზაციის შეფასებით, ბოლო 12 წელიწადში, საქართველოში კეთილდღეობის ინდექსი 8.8 პუნქტით გაუმჯობესდა და მსოფლიო რეიტინგში ქვეყანა 23 ადგილით დაწინაურდა.**

**საქართველო, კეთილდღეობის დონით, მსოფლიოში 47-ე ადგილზეა და რეიტინგით უსწრებს ყველა მეზობელ ქვეყანას, ევროკავშირის წევრობის ყველა კანდიდატს, ასევე ნატოს და ევროკავშირის წევრ 5 სახელმწიფოს.**

ბექა დანელია

## მძღოლებო, ყურადღებით, დამონტაჟდა ახალი საგზაო ნიშნები!

**ნიშნებზე მითითებულია იმ სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები, რომელთათვისაც ავტომაგისტრალის გარკვეულ მონაკვეთებზე დასაშვები სიჩქარე შეადგენს არაუმეტეს 80 კმ/სთ-ს.**

**„აღნიშვნები ეხება შემდეგ კატეგორიებს: C, CE, C1, C1E, D, DE, D1, D1E – დიდი და საშუალო სატვირთო ავტომობილები, მისაბმელიანი სატვირთოები, დიდი ავტობუსები, მინიავტობუსები და მისაბმელიანი ავტობუსები.**

**ნიშნები განთავსებულია სატრანსპორტო კვანძების გამომსვლელებთან იმისთვის, რომ მძღოლებმა ავტომაგისტრალზე შესვლამდე წინასწარ და თვალსაჩინოდ მიიღონ ინფორმაცია მოძრაობის პირობების შესახებ. ეს მათ დაეხმარება სწორად დაგეგმონ გადაადგილება და უსაფრთხოდ განაგრძონ გზა.**

**მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს შეზღუდვები ახალი არ არის, განსაზღვრულია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 ნაწილის „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით და მოქმედებს 2013 წლიდან. ახალი საგზაო ნიშნების განთავსება ემსახურება მხოლოდ იმას, რომ მძღოლებმა აღნიშნული წესების შესახებ ინფორმაცია მიიღონ წინასწარ, თვალსაჩინოდ და გასაგებად.**

**ამასთან, მძღოლებს ვაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 დეკემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო იწყებს საშუალო სიჩქარის დიფერენცირებული კონტროლის მონაკვეთებში 80 კმ/სთ სიჩქარის გადაჭარბების დარღვევების ადმინისტრირებას.**

**გთხოვთ, ყურადღებით დააკვირდეთ საგზაო ნიშნებს და გაითვალისწინოთ მოქმედი წესები",** – აღნიშნულია ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციაში.

## ევროკავშირის უკანასკნელი შანტაჟი




# უვიზო მიმოსვლა, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღი!

**ევროკავშირის მხრიდან საქართველოსა და მისი სუვერენული კურსის წინააღმდეგ მიმართული წნეხი ახალ, სახიფათო ფაზაში შედის. მას შემდეგ, რაც „არარჩეულმა ევრობიუროკრატებმა“ ვერ შეძლეს ქართველი ხალხის ნებაზე ზეგავლენა და ქვეყანაში არეულობის ინსპირირება, ბრიუსელი გადადის თავის უკანასკნელ და ყველაზე მკაცრ ბერკეტზე — უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის ამოქმედებაზე. ეს არის ღია მცდელობა, ევროკავშირმა საკუთარი მოქალაქეების ინტერესები გამოიყენოს ხელისუფლების წინააღმდეგ „იარაღად“ და ამ გზით აიძულოს ქვეყანა, უარი თქვას ეროვნული ინტერესების დაცვაზე.**

### ევროკომისიის ანგარიში და რიკარდ იოზვიაკის „გაფრთხილება“

**„რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიუროს რედაქტორის, რიკარდ იოზვიაკის განცხადებით, ევროკომისიის ახალი ანგარიში პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველომ „არ შეასრულა არცერთი მოთხოვნა“, რომელიც ბრიუსელმა შარშან წაუყენა. საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა და „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი.**

იოზვიაკი ღიად ადასტურებს, რომ პროცესი პრაქტიკულად დაწყებულია: **„ევროკავშირი ახლა გადადის ვიზალიბერალიზაციის ნაწილობრივი შეჩერების პროცესზე. ვიცით, რომ ბევრი წევრი სახელმწიფო მხარს უჭერს. ეს ნიშნავს, რომ დიპლომატიური პასპორტების მქონე პირებს მოუწევთ ვიზის აღება. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. თუ ვითარება არ შეიცვლება, რისკის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის მთელი მოსახლეობა“**, — განაცხადა მან.

მისივე თქმით, ახალი წესების მიხედვით, რომელიც 2025 წლის 30 დეკემბერს შედის ძალაში, ევროკომისიას ეძლევა უფლება, მსგავსი გადაწყვეტილებები წევრი სახელმწიფოების დამატებითი თანხმობის გარეშე მიიღოს, რაც პროცესს კიდევ უფრო ავტორიტარულ ელფერს სძენს.

### ეტაპობრივი შეზღუდვები — გეგმა ქართველი ხალხის წინააღმდეგ

**ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით ირკვევა, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერება იგეგმება „დემოკრატიული უკუსვლის სისტემური ხასიათის“ საბაბით. გეგმა ორეტაპიანია: პირველი ეტაპი — შეზღუდვა შეეხება დიპლომატიური, სამსახურებრივი და ოფიციალური პასპორტების მფლობელებს; მეორე ეტაპი — თუ ხელისუფლება არ დაემორჩილება ბრიუსელის დიქტატს, უვიზო რეჟიმი სრულად შეუჩერდება საქართველოს ყველა მოქალაქეს.**

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველომ 2024-2025 წლებში, „მნიშვნელოვნად გადაუხვია“ ვიზალიბერალიზაციის ვალდებულებებს, რასაც ბრიუსელი ანტიკორუფციული რეფორმების შეჩერებასა და ფუნდამენტური უფლებების დარღვევას უწოდებს.

საქართველოს სახელისუფლებო გუნდში მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ეს ნაბიჯი ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

**არჩილ გორდულაძე,** პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს:

**„საქართველოს წინააღმდეგ ვიზალიბერალიზაცია შანტაჟის ერთადერთი საშუალებაა არაარჩეული ევრობიუროკრატების მიერ. მათ სურთ, ეს ბერკეტი ხალხის ასამხედრებლად გამოიყენონ. თუმცა, თუ ამას იზამენ, საკუთარ ხელში შანტაჟის მექანიზმიც აღარ დარჩებათ. ამიტომ, მსგავსი მოლოდინი არ მაქვს“**, — განაცხადა მან.

**ლევან მახაშვილი,** პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე კი მიიჩნევს:

**„იმედს ვიტოვებთ, რომ ევროკავშირი პრაგმატულ გადაწყვეტილებას მიიღებს და არა ემოციურს. დღეს ევროკავშირი ამერიკის ახალი სტრატეგიის შემდეგ იმ მდგომარეობაშია, რომ კიდევ ერთი გეოპოლიტიკური შეცდომა შეიძლება მძიმედ დაუჯდეს. საქართველოს უვიზო მიმოსვლა არ უნდა შეუწყდეს, რადგან ობიექტური გარემოებები ამისთვის არ არსებობს“**, — თქვა მან.

თუმცა აშკარაა, რომ ევროკავშირი ცდილობს, უვიზო მიმოსვლა, რომელიც ქართველი ხალხის მონაპოვარია, გამოიყენოს ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევისთვის. მაშინ, როცა ქვეყანა ინარჩუნებს მშვიდობასა და ეკონომიკურ ზრდას, ბრიუსელის მცდელობა, დასაჯოს მთელი მოსახლეობა საკუთარი ხელისუფლების მხარდაჭერისთვის, აღიქმება როგორც გეოპოლიტიკური შანტაჟის უკიდურესი ფორმა.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ როცა ჩვენი მეზობლები დასახულ მიზანს ვერ აღწევენ, ამისთვის გარკვეული ნაბიჯები იდგმება. ვიზალიბერალიზაცია სწორედაც რომ ამისთვის სჭირდებათ და მას, როგორც საბოლოო ბერკეტს, დიდი ალბათობით, აამოქმედებენ.

**„2024 წლიდან, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებენ, რომ ხელისუფლება შეცვალონ. ხალხს უთხრა კიდევაც ევროკავშირის ელჩმა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დემოკრატიის გზიდან გადაუხვია და 2012 წლამდე ყველაფერი წესრიგში იყო, თუმცა ახლა ზურგის შექცევა მოხდა. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ვისაც ევროპა გინდათ, ეს ხელისუფლება შეცვალეთ. პირდაპირი ტექსტით იყო მოწოდებული, რომ ხელისუფლება როცა შეიცვლება, მერე გადავხედავთ ამ ყველაფერს.**

**ჩნდება კითხვა: ვინ უნდა შეცვალოს ეს ხელისუფლება? აქ ევროპის ჯარი არ შემოვა პუტინივით და არ დაიწყებენ ხელისუფლების ცვლილებას. ეს ცვლილება ქართველმა ხალხმა უნდა მოახდინოს, ხოლო ამ ხალხზე ზეწოლის ბერკეტების გამოყენებაა საჭირო. ისინი სწორედ ამას აკეთებენ იმ წლების განმავლობაში, რაც უკრაინის ომი დაიწყო და საქართველომ საკუთარი დღის წესრიგით მოქმედება დაიწყო; როცა უარი არ თქვა ხალხის და ქვეყნის ინტერესებზე და პრიორიტეტულად მათი ინტერესები არ დააყენა. ამიტომ დაიწყო ამაზე მუშაობა. ვხედავთ, ამას აქვს ეტაპობრივი სახე. ამისთვის უგზავნიან ფულს არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ აძლიერებენ. ცდილობენ რუსთაველზე მუხტის შენარჩუნებას, თუმცა არაფერი გამოდის. ხალხს ვერ ძრავენ ადგილიდან, ამიტომ ახლა მთავარი ბერკეტის ამოქმედებაა საჭირო. ასეთი მთავარი ბერკეტი კი ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაა“**, — ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, მიუხედავად ამისა, არ ელის, რომ ქართველი ხალხი ამის გამო ქუჩაში გამოვა და ხელისუფლების ჩამოგდებას დაიწყებს. ამის მიზეზად კი საყვარელიძე რამდენიმე გარემოებას ასახელებს:

**„ქართველი ხალხის ხასიათი ასეთია, როცა ხედავენ, რომ მათ მბრძანებლური და შანტაჟის ენით ელაპარაკებიან, პირიქით იმოქმედებენ. მერე მეორეც, ხალხმა დაინახა, რომ ევროკავშირში შესვლა ასე მარტივად არ ხდება და, შესაძლოა, ეს საკუთარი იდენტობისა და ღირებულებების ფასად დაუჯდეს; ასევე იმით, რომ აქ დაბრუნდეს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ძალიან ეჯავრება და მას მეორედ ხელში ძალაუფლებას აღარ ჩაუგდებს. დაინახეს, რომ დასავლეთი ევროკავშირში გაწევრიანების პირობად ომს და მეორე ფრონტში ჩაბმას ასახელებს, ამიტომ არ ველი, რომ ეს ბერკეტი იმოქმედებს; პირიქით, ანტიევროპულ დამოკიდებულებას გააჩენს და ეს თავად ევროკავშირისთვის იქნება ძალიან ცუდი“**, — ამბობს **საყვარელიძე.**

**ლიკა ბერიკაშვილი**

## რუსთაველზე მოხეტიალე უსაქმურთა საყურადღებოდ!

### შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2025 წლის 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, აქციების გამართვის პირობებთან დაკავშირებით ინფორმაციას აქვეყნებს

როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეკრება უნდა იყოს მსვლელობის გარეშე, შეკრების მონაწილეებმა პროტესტი უნდა გამოხატონ თბილისში, პარლამენტის შენობასთან წინა ფასადზე არსებულ ასასვლელ კიბეებსა და მის მიმდებარე სივრცეში და არ უნდა შეაფერხონ ტროტუარზე მოძრავი სხვა მოქალაქეებისა და გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

**„2025 წლის 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შეკრება თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე, შეკრების ფორმა: შეკრება (მსვლელობის გარეშე); შეკრების ჩატარების ადგილი: თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი N8, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორია;**

**შეკრების დაწყების თარიღი/დრო: 2025 წლის 21-31 დეკემბერი, 19:00 საათი;**

**შეკრების დასრულების თარიღი/დრო: 2025 წლის 21-31 დეკემბერი, 24:00 საათი;**

**შეკრების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი: კახა წიქარიშვილი;**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული შესასრულებლად სავალდებულო მითითება:**

**2025 წლის 21 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გასამართი შეკრების მონაწილეებმა შეკრებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ მუშაობას, ტრანსპორტის ან ხალხის შეუფერხებელ გადაადგილებას, ადამიანის სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს.**

**ამასთან, შეკრების მონაწილეებმა პროტესტი უნდა გამოხატონ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე N8-ში მდებარე, საქართველოს პარლამენტის შენობასთან წინა ფასადზე არსებულ ასასვლელ კიბეებსა და მის მიმდებარედ სივრცეში და არ უნდა შეაფერხონ ტროტუარზე მოძრავი სხვა მოქალაქეებისა და გზაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება“**, — ნათქვამია ინფორმაციაში.

**საღი გონების ადამიანათვის საოცარი ამბები ხდება დღევანდელ ევროპასა და აშშ-ში. მთელი „საოცრება“ ის არის, რომ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს, თითქოს, შემეცნების უნარი დაეკარგათ და ფაქტების კი არა, აღქმების საფუძველზე აკეთებენ დასკვნებს. ამ უბედურებას ვერც ქართველი „მედასავლეთეები“ ასცდნენ. დაბეჯითებით ვამბობდი მეც და არაერთი სხვაც, რომ ეს საყოველთაო გამოთაყვანება ევროპასა და აშშ-ში სატანისა და სატანისტების გამეფების შედეგია-მეთქი, მაგრამ ვინ ისმინა! ჩვენს ცრუმორწმუნეობას მიაწერეს ეს, არადა, მათზე მეტი ათეისტი ვიყავი; ოთხი ათეული წლის წინ შემეცვალა მრწამსი, რადგან ისეთი მოვლენები განვითარდა უცხოეთსა და ჩვენშიც, რომ მათი ახსნა პოზიტიური მეცნიერების საფუძველზე წარმოუდგენელია. მაგალითად, ისეთი ადამიანები, რომლებიც თვით უახლოეს წარსულშიც კი მედიცინას ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებად მიაჩნდა, დღეს ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ი ავადსახსენებელი „ენჯეოების“ (სამოქალაქო საზოგადოებების!) ხელმძღვანელები არიან.**




# ულოგიკობის „ლოგიკა“

## ქვეყანაც რომ დაიქცეს, კანონი მაინც უნდა აღსრულდეს!

**იმასაც ვიტყვი: ვინც „ენჯეოებს“ სამოქალაქო სექტორს უწოდებს, არც ის არის სრულ ჭკუაზე, თორემ ჩვენ, ანუ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ვინც არც პარტიებში და არც „ენჯეოებში“ ვართ გაერთიანებული, არ ვართ მოქალაქეები?**

**„ენჯეოები“ სამოქალაქო სექტორი კი არა, ერის სხეულს შესეული მკბენარია და მათი მოცილება დიქტატურის გამოვლინება კი არა, ჰიგიენური პროცესია, ჯანმრთელობისთვის აუცილებელი პროცედურაა!!!**

ერთ რამეშიც უნდა შევთანხმდეთ, კერძოდ, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალებს ამ წერილში „ოპოზიციად“ მოვიხსენიებ, თუმცა ისინი ისე ჰგვანან ოპოზიციას, როგორც ერთ ცნობილ გამონათქვამშია: „სად ერეკლე და სად ჩემს ეზოში ამოსული ხეო!“

საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც ხელისუფლებას უპირისპირდება, „ნაფიც ოპოზიციასთან“ ერთად, ერთი წელია დღე და ღამე ქუჩაში დგანან და ახალ არჩევნებს მოითხოვენ, რადგან არჩევნები 2024 წელს რომ ჩატარდა, თურმე, გაყალბებულა. ისინი სალომე ზურაბიშვილს ისევ ლეგიტიმურ პრეზიდენტად თვლიან და პაატა პაპასა და მურთაზა ძიას მეთაურობით პრეზიდენტის სასახლის გასაღებს მოითხოვენ. სალომე ზურაბიშვილიც კატეგორიულად მოითხოვს პრეზიდენტის სასახლეში დაბრუნებას და იმუქრება: თუ ნებით არ დამაბრუნებთ ჩემს სახლში (სახლსა და სასახლეს ერთმანეთისგან ვერ არჩევს!), ცულს მოვიტან ცუნცულასაო და მაგ არალეგიტიმურ პრეზიდენტს ყურებს დავაჭრიო, რადგან უფროს-უმცროსობის წესი არ იცისო.

**სალომე ზეზოს, პაატა პაპას, გია პეპერას (ზუღაძეს), მურთაზა ძიას და მათ ამყოლებს, ევროპიდან მხარს უჭერენ, წეღან რომ ჩამოვთვალე, ისეთი პრეზიდენტები და პრემიერ-კანცლერები, ევროკავშირის ცნობილი ურსულები და ყუნცულები...**

და გრძელდება ეს ბაკქანალია თბილის-ქალაქის ცენტრში. ეჰ, **„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, კარგა ხანია კაცი არ სჩანს ნამდვილად დიდი“** (მუხრან მაჭავარიანი).

ხელისუფლების ლიდერები ასე ფიქრობენ, ალბათ, სიმართლე ჩვენს მხარეს არის, არც ჩვენ დავიღლებით სიმართლის მტკიცებით და ეს შემცდარი ხალხი ბოლოს და ბოლოს მიხვდება ვინ ვინ არის და ამ უაზრო ქუჩის „პოლიტიკას“ და მიტინგის პანდემიას ბოლო მოეღებაო.

**ჩემი აზრით, არ მოეღება ბოლო ამ სიგიჟეს, რადგან მათი მოქმედება ულოგიკობის „ლოგიკას“ ეფუძნება და იმიტომ! აბა, თუ ასე არ არის, საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი გაეროს ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოს ელაპარაკა, იმავე დღეს აშშ-ს პრეზიდენტმა სხვა ქვეყნების ლიდერებთან ერთად ვახშამზე მიიწვია; ჩვენი პრემიერ-მინისტრი კი ისეთ ფორუმებზე იყო მიწვეული და ისეთი ქვეყნების ლიდერებთან მოაწერა ხელი უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებებს, სადაც ურსულებსა და ყურსულებს არც კი მიასუნიებენ.**

საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმურობა მხოლოდ ქუჩაში მდგომ მიტინგით დაავადებულ „გულანთებულ“ ბრბოს არ სჯერა! ხელისუფლება კანიდან ძვრება, რათა ამ ქუჩისშვილებს დაუმტკიცოს საკუთარი ლეგიტიმურობა და კეთილსაიმედოობა, თუმცაღა არც ასეთი მოქმედებაა მთლად ლოგიკური და, ამდენად, არც პოზიტიურ მოლოდინს გვიქმნის. ვის და რატომ უმტკიცებენ იმას, რომ თეთრი არ არის შავი. არ იციან, განა, რომ ხალხი პატივს არ სცემს იმას, ვისაც მართლა ჰგონია, რომ მარჯვენა ყბაში რომ გაგარტყან, მარცხენა უნდა მიუშვირო, რადგან ასეთი საქციელი ჰუმანურობის გათვალსაჩინოების ძლიერი საშუალებაა და კეთილ საქმეში უკეთურის ვარჯიშის სასარგებლო მაგალითია.

**მე ის მიკვირს, რომ ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში თითქმის ყველა იურისტია, რომლებმაც კარგად იციან, ალბათ, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ამის მცოდნეებს ისიც, უსათუოდ, ეცოდინებათ, რომ არც სახელმწიფო არსებობს სამართლის გარეშე და არც სამართალი არსებობს სახელმწიფოს გარეშე. რაღაც გაუგებარი ლიბერალიზმი, თუ ჰუმანურობა, რაც ქვეყნის მმართველებმა შეიძლება საკუთარი, სუბიექტური განწყობისა და განწყობილების შესაბამისად გამოავლინონ, დიდად აზიანებს იმ ბუნებრივ ტანდემს, რაც სახელმწიფოსა და სამართლის ერთიანობაშია.**

**სწორედ ეს უწყობს ხელს სახელმწიფოებრიობის დამღუპველი სენის – ანარქიის წარმოშობასა და დამკვიდრებას. ეს არაერთხელ დაემართათ როგორც ეროვნულ, ისე იმპერიულ სახელმწიფოებს, რამაც მათი დანგრევა, ან, სულაც, გაქრობა გამოიწვია...**

ვინაც ჯერ არს, ისიც კარგად უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფოში სამართალი არსებობს, ან არ არსებობს! ის, რომ კანონი ხან მოქმედებს, ხან არა, ან ერთისთვის კანონი კანონია, მეორესთვის იგი მხოლოდ შემწყნარებელია, რომელიც რაღაც მიზეზის გამო შესაძლოა ხელისუფლებამ სამოქმედო ველიდან დროებით გაიწვიოს, კანონის უზენაესობას ეჭვის ქვეშ აყენებს და რაც ამ დაეჭვებას მოჰყვება, არა მგონია ძნელი გამოსაცნობი იყოს. ვერანაირი ლოგიკა ამას ვერ მოუძებნის გამართლებას. ამიტომ იყო ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული რომის იმპერიაში ასეთი სენტენცია: ქვეყანაც რომ დაიქცეს, კანონი მაინც უნდა აღსრულდეს!

**ულოგიკურობის „ლიგიკის“ საილუსტრაციოდ ერთი ფაქტიც უნდა განვიხილო, თქვენთან ერთად, ძვირფასო მკითხველებო, მით უფრო, რომ იგი არა მარტო თქვენ, არამედ ახლო სამეზობლოშიც კარგად იციან. კერძოდ, საქმე ეხება ე.წ. ოპოზიციასა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას. ხელისუფლება სრულიად სამართლიანად, ე.წ. ოპოზიციას უსამშობლოებს, ქვეყნის მტრებს, უცხოეთის აგენტებს, მოღალატეებს უწოდებს და მიუხედავად ამისა, ჩვენი სახელმწიფო უკვე დიდი ხანია სწორედ ამ „ოპოზიციის“ მიერ შექმნილი დღის წესრიგით ცხოვრობს.**

**ამიტომ არის, რომ უშედეგოდ მთავრდება ის, სასიცოცხლოდ აუცილებელი, რეფორმები, რასაც ასე ცდილობს ხელისუფლება. ეს ასეც იქნება, ვიდრე ქვეყანაში ჭეშმარიტი პოლიტიკური ოპოზიცია არ იარსებებს. სწორედ ამგვარი უშედეგო რეფორმების მაგალითია სასკოლო-საგანმანათლებლო „რეფორმა“, რომელიც, ვინ იცის, მერამდენედ იწყება.**

სავარაუდოდ, ასეთივე ბედი ეწევა იმ რეფორმასაც, რომლის „კონცეფციებიც“ ახლახან წარუდგინა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას განათლების მინისტრმა.

* * *

**ჩვენი ხელისუფლების იძულებითი ლიბერალური პოლიტიკისა და უცხოელი გულუხვი ბატონების მიერ გალაღებული „ოპოზიციონერები“ ყველაფრის „უბადლო“ მცოდნეები არიან, განსაკუთრებით პროგნოზირებაში ბრძანდებიან მაგრები. ერთი ასეთი პროგნოზისტი, რომლის გვარსახელი არ ვიცი, მაგრამ გარეგნობით ათას კაცში გამოვარჩევ, ამასწინათ ტელეეკრანიდან მმართველ პარტიას ამუნათებდა: „რუსეთი მარცხდება, უკრაინა იმარჯვებს, ქოცებო, თქვე უბედურებო, ვერ ხედავთ ამას?“ ამ პროგნოზს სხვებიც უდასტურებდნენ.**

მე ის ვერ გავიგე მხოლოდ, რატომ (ნიშნის მოგებით მიმართავენ „ქართულ ოცნებას“, სად დაინახეს „ქართული ოცნების“ სიმპათიები რუსეთის მიმართ, ნეტავი? იმის მიუხედავად, რომ უკრაინის ხელისუფლება კარგა ხანია საქართველოს მიმართ მტრულ პოლიტიკას ახორციელებს, საქართველო ცალმხრივი სიყვარულით არის შეპყრობილი უკრაინის მიმართ, ხოლო არცერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ რუსეთს ოკუპანტი არ უწოდოს. რაიმე ლოგიკის ნიშანწყალი არც ამ პოლიტიკაში ჩანს! სამწუხაროა რაიც!..

**ე.წ. ოპოზიციის ულოგიკობა და სიბრიყვე არ მიკვირს, რადგან ამის მიზეზი ჩემთვის ცნობილია. ეს არის სატანის კლანჭებში ჩავარდნილი ხალხის მდგომარეობა, რომელმაც უფალი უარყო და „სრული თავისუფლება“ მოიპოვა. ამით ამ ხალხმა დაკარგა ღვთიური მადლი – შემეცნებისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, მაგრამ როგორ მოხვდა ამ სატანისტურ ჯაოზში ის პარტია, რომელიც რეალური ოპოზიცია იყო საქართველოს პარლამენტში?! აი, ამ პარტიამ საზოგადოებრივი პროტესტი დააანონსა არაბული ექვსმილიარდიანი ინვესტიციის წინააღმდეგ და იცით, რატომ? მერვე საუკუნეში არაბ დამპყრობლებს ქართველები უწამებიათ... მერვე საუკუნეში, კაცოო! ცამეტი საუკუნის წინ!!! არა, სხვა უფრო სერიოზული მიზეზებიც დაასახელეს, მაგრამ ამ „არგუმენტის“ გვერდით ყველაფერი უფერულდება!**

**არ მეგონა, რომ ამ პარტიის ნამდვილად განათლებული და ნიჭიერი ლიდერები, ნამდვილი პოლიტიკოსები, ულოგიკო „ლოგიკის“ მიმდევრები გახდებოდნენ. დიდად სამწუხარო ფაქტია ეს!**

ჩვენ საქართველო
რესპუბლიკა

რამდენიმე ხნის წინ გახარიას ე.წ. პარტიამ ბოიკოტი შეწყვიტა და პარლამენტში დაბრუნდა, იმის მიუხედავად, რომ ამ პარტიის ლიდერი „ემიგრაციაშია". გახარიას პარტიელების პარლამენტში დაბრუნებამ „ოცნების" ლიდერების კმაყოფილება გამოიწვია, რადგან საშუალება მიეცათ მათთვის პირში ეთქვათ ის, რასაც მათ ლიდერზე ლაპარაკობდნენ. რას ლაპარაკობდნენ, კონკრეტულად?

იმას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას გახარია ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს ახორციელებდა პოლიციელების ხელით და ამით, პირველ ყოვლისა, პოლიციის ავტორიტეტის დაცემას უწყობდა ხელს. მე არა ვარ კომპეტენტური საიმისოდ, რომ პოლიციის ყველა მოქმედება განვსაჯო, მაგრამ ერთი ფაქტი ჩემი თვალით მაქვს ნანახი და ერთ-ერთ საგაზეთო წერილში აღვნიშნე კიდეც, ერთობ უსიამოვნო კომენტარით.

საქმე ეხებოდა პანკისის ხეობაში მოსალოდნელი ტერორისტული საფრთხეების განეიტრალებას, მაგრამ ჩვენმა პოლიციის იმ რაზმმა პანკისის ხეობაში დანაშაულის კერები კი ვერ გაანეიტრალა, პირიქით, თვითონ პოლიცია გახდა დასაცავი, რადგან პანკისელმა გლეხის ქალებმა, ბავშვებმა და მოხუცებმა კეტებითა და ქვებით დაიფრინეს პოლიციელები. მაშინ ვთქვი, ქვეყანაში, სადაც პოლიციელებს ხელკეტებითა და ქვებით დაიფრენენ სოფლიდან, თუ ხეობიდან, იქ სახელმწიფოს არსებობა ეჭვქვეშ დგება-მეთქი.

გახარიას პარტიელების პარლამენტის დარბაზში გამოჩენისთანავე შეახსენეს მათ ლიდერის მოღალატეობრივი საქმიანობა, რის საპასუხოდაც ერთ-ერთმა ახლადგადეპუტატებულმა პოლიტიკოსმა გულწრფელად თუ სულაც „ბოროტი განზრახვით", არ ვიცი, უმრავლესობას ჰკითხა, **თუ ასეა საქმე, როგორც თქვენ ამბობთ, დამნაშავე შს მინისტრი პრემიერ-მინისტრად რატომ დააწინაურეთო. ამ ერთხელ დავინახე ლოგიკა „ოპოზიციონერის" მიერ დასმულ შეკითხვაში.**

ისე, მართალი გითხრათ, ამ კითხვის პასუხი ძალიან მაინტერესებს. კი მაინტერესებს, მაგრამ, არა მგონია, ვინმემ მოინდომოს პასუხის გაცემა, რადგან ხელისუფლებას სად სცალია გაზეთების საკითხავად. არც ვამტყუნებ, რადგან, როცა ქვეყანას ამდენი შინაური მტერი და უცხო ქვეყნების მსტოვრები ჰყავს, თავის მოსაფხანადაც არ რჩება დრო!

**ამ ქვეყნის გულშემატკივარი რომ ვარ, იმიტომ ვკადნიერდები და ხელისუფლებას რაღაც-რაღაცებს შევახსენებ ხოლმე, ზოგჯერ ვიმეორებ კიდეც ერთსა და იმავე სენტენციებს, აი, ასეთს: როდესაც ქვეყანაში ნამდვილი ოპოზიცია არ არის, ხელისუფლების მიერ შეცდომების დაშვების ალბათობა დიდია!**

**ამ „ოპოზიციურ" პარტიებთან დაკავშირებით გამახსენდა „ქართული ოცნების" დამფუძნებლის ნათქვამი – შუა უნდა გაიკრიფოსო; ნეტავი ვინ იგულისხმა ამ „შუა"-ში? ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი" ხომ არა? ან, იქნებ დიმიტრი ლორთქიფანიძე, ან კუკავას მიმდევრები?! არ ვიცი, არ ვიცი! მაგრამ თუ ასეა, მაშინ გაუკაფავს „რქაწითელი", „საფერავი" და მათი მსგავსი ვაზი და ახლა „ძაღლყურძენასა" და „კრიკინას" მოსავალი იწურება „ოცნების" მარანში, რომლის ღვინომ მძიმე „პახმელია" იცის. რაღაც ლოგიკა კი არის ამ გაკრეფვაში, მაგრამ ცუდი ლოგიკაა ეს, ძალიან ცუდი!**

ერთ-ერთ სატელევიზიო საუბარში ქალბატონმა თეა წულუკიანმა თქვა, რომ ოპოზიცია ძალიან ცდილობს გამოგონილი ფაქტებით დააზიანოს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მათ საამისოდ კრეატიულობა არ აქვთო. ძირითადად ვეთანხმები ქალბატონ თეას, მაგრამ კრეატიულობის უქონლობაში ვერ გავიზიარებ მის მოსაზრებას. პოზიტიური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო შემოქმედებითი უნარი არ გააჩნიათ, თორემ ბოროტი და მავნე საქმიანობისთვის „კრეატიულობა" თავზე საყრელად აქვთ. ხანდახან ისეთ ტყუილს მოიგონებენ და დააბრალებენ ადამიანს, ხელისუფლებას, ან სულაც მთელ ქვეყანას, რომ თვით პროფესიონალი ცილისმწამებლებიც კი გაოცებულები რჩებიან. აგერ ახლახან ვიღაც ჩახუნაშვილმა, თუ ჩახუნაშვილებმა, რომლებიც ინფექციონისტობას, თუ ტოქსიკოლოგობას იბრალებენ, განაცხადეს, რომ ქართულმა პოლიციამ პრეზიდენტის რეზიდენციაზე თავდამსხმელი ოპოზიციონერების წინააღმდეგ მომწამლავი აირი გამოიყენაო და ეს ის აირია, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის დროს იყენებდნენო. ეს ინფორმაცია მალე გაასაჯაროვა ტელეკომპანია „ბიბისიმ". როდესაც, ვინაც ჯერ არს, იმან ჰკითხა „ბიბისის" ხელმძღვანელებს, რა მტკიცებულება გაქვთ იმისა, რომ საქართველოს პოლიციამ ასეთი დანაშაული ჩაიდინაო, მათ უპასუხეს, რომ თქვენმა „ტოქსიკოლოგმა" ჩახუნაშვილმა წარმოგვიდგინა საამისო საბუთიო. რა საბუთი იყო ასეთიო, – ჰკითხეს და „ბიბისიელებმა" უპასუხეს, თვით პრუსიისა თუ გერმანიის ჯარების სარდლის ვილჰელმ კაიზერის ხელმოწერილი ცნობა გვაჩვენა, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ქართველმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვთხოვეს ამ მომწამლავი გაზის ჩუქება, რადგან ოპოზიცია ქართული ხელისუფლების ჩამოგდებას აპირებსო.

ასე ლაპარაკობდნენ „წყაროზე" და მეც იქ მოვისმინე ეს, თორემ სხვა მტკიცებულება არ მაქვს.

* * *

**ახლა, სრულიად სერიოზულად, მინდა წარმოვადგინო რამდენიმე მოსაზრება, რაც, მიმაჩნია, რომ სახელმწიფოში პოლიტიკურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.**

**1. ცნება „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია" არის მცდარი და „გენდერული თანასწორობა" კი არაადამიანური, ანომალიური ნარატივია. ნორმალური სექსუალური ლტოლვისაგან გადახვევა ათადან-ბაბადან სნეულებად ითვლებოდა და ეს პოზიცია უნდა დაბრუნდეს მედიცინაშიც და საზოგადოებაშიც. ჰომოსექსუალობა, ლესბოსელობა, პედოფილია, ნეკროფილია, ზოოფილია, ეკოფილია დაავადებაა და მას ფსიქობიოლოგიური მკურნალობა სჭირდება და მათი შესაბამისი აქტივობა კი ისჯება სისხლისსამართლის კოდექსის შესაბამისად.**

**2. მოქალაქეთა პირადობის მოწმობაში უნდა დაბრუნდეს ეროვნებისა და მამის სახელის აღნიშვნა.**

**3. მედიასაშუალებებით, ან უამისოდ ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება, რაც ფაქტობრივი მაგალითებით არ არის განმტკიცებული, უნდა ისჯებოდეს, როგორც ფინანსური ჯარიმებით, ისე სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. სისხლის სამართალში თუ ასეთი მუხლები არ არის, სასწრაფოდ უნდა აღდგეს!**

**4. სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს „ენჯეოები", ანუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არავის აურჩევია და მათთვის არც არავის მიუნიჭებია რაიმე ლეგიტიმური უფლება. ეს პარაზიტული ორგანიზაციები მხოლოდ უცხოური აგენტურის თავშესაფარია.**

**5. პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია უნდა განახორციელოს იუსტიციის სამინისტრომ მათი წესდებისა და პროგრამების შინაარსის ღრმა ანალიზის საფუძველზე.**

**6. ნებისმიერი მიტინგი თუ დემონსტრაცია სანქცირებული უნდა იყოს ქალაქის მმართველობის მიერ შესაბამისი ლოკაციის მითითებით. არასანქცირებული მასობრივი შეკრება უნდა ჩაითვალოს კანონდარღვევად და მის აღკვეთასთან ერთად, კანონის შესაბამისად უნდა განხორციელდეს შესაბამისი საჯარიმო სანქციები.**

**7. ნებისმიერი რეფორმა ან ფუნდამენტური ცვლილება უნდა განხორციელდეს წინასწარ საზოგადოებისთვის ცნობილი კონცეფციის შესაბამისად. კონცეფციის ჩამოყალიბება უნდა დაევალოს კონკრეტული დარგის ფუძემდებლური თეორიების მცოდნე ცნობილ მეცნიერებს. მაგალითად, განათლების რეფორმის კონცეფცია უნდა შეიმუშაონ განათლების მეცნიერებათა მცოდნე მეცნიერებმა. განათლების მეცნიერება კი ინტეგრირებული მეცნიერებაა და ამ ინტეგრაციაში შედის ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ბიოლოგია, იურისპრუდენცია, მედიცინა და საკუთრივ პედაგოგიკა, იგივე პიროვნების სოციალური განვითარების თეორია.**

**ზურაბ ცუცქირიძე,**
**განათლების მეცნიერებათა დოქტორი.**
(ტელ. 555 56 75 37).





# საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია 35 წლისაა

**საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია დაარსებიდან 35-ე წელს აღნიშნავს. საზეიმო ღონისძიება თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში" გაიმართა. გვარდიის პირად შემადგენლობასა და ვეტერან გვარდიელებს პროფესიული დღე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა მიულოცა.**

თავდაცვის მინისტრმა გვარდიელებს მადლობა გადაუხადა გაწეული სამსახურისთვის და ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ეროვნული გვარდიის როლზე გაამახვილა ყურადღება.

**„ეროვნული გვარდია თავისი საამაყო ისტორიით, სახელმწიფოსადმი ურყევი ერთგულების ერთ-ერთი გამორჩეული სიმბოლოა. მინდა, ეროვნული გვარდიის იუბილე მივულოცო და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ყველა ვეტერან გვარდიელს – იმ მეომრებს, რომლებმაც წლების მანძილზე საკუთარი შრომით, ცოდნითა და გამძლეობით, მომავალი თაობებისთვის გვარდიის შემდგომი განვითარების მტკიცე საფუძველი შექმნეს",** – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართა და იუბილე მიულოცა ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა **რომან ჯოხაძემ.** ეროვნული გვარდიის მეთაურმა სტუმრებს ეროვნულ გვარდიაში მიმდინარე და დასრულებული პროექტები გააცნო.

**ღონისძიება სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოების ცერემონიით გაგრძელდა. ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები უწყებრივი მედლებით – „სამშობლოსთვის თავდადებული", „გენერალი მაზნიაშვილი", „გენერალი კვინიტაძე", „გიორგი ანწუხელიძე", „თეთრი გიორგი" დაჯილდოვდნენ. გადაეცათ საშტატო იარაღები და სამკერდე ნიშნები – „ღირსეული გვარდიელი".**

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ჩიქოვანმა ეროვნული გვარდიის განვითარების, აღმშენებლობის, საბრძოლო მომზადებისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის, ეროვნული გვარდიის უფროსი, ბრიგადის გენერალი **რომან ჯოხაძე მედლით – „თეთრი გიორგი" დააჯილდოვა.**

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი **გიორგი მათიაშვილი** და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

**საქართველოს ეროვნული გვარდია 1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე შეიქმნა. გვარდია იყო პირველი სამხედრო შენაერთი, რომლის ბაზაზეც შემდგომში საქართველოს თავდაცვის ძალები ჩამოყალიბდა და განვითარდა. დღეს საქართველოს ეროვნული გვარდიის ამოცანას თავდაცვის ძალების რეზერვის მომზადება-გადამზადება, საბრძოლო წვრთნების ორგანიზება, საბრძოლო ოპერაციებისას მხარდამჭერი და უსაფრთხოების ოპერაციების განხორციელება, საომარი და საგანგებო სიტუაციების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა წარმოადგენს.**

# ბორჯომში დევნილთათვის თანამედროვე სტანდარტების საცხოვრებელი კორპუსი შენდება

**150 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, ბორჯომში თანამედროვე სტანდარტების საცხოვრებელი კორპუსი შენდება.**

ახალაშენებულ კორპუსში სრულად გარემონტებული ბინები იმ დევნილ ოჯახებს გადაეცემათ, რომლებიც ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ე.წ. კომპაქტური განსახლების შენობებში, არასათანადო პირობებში ცხოვრობენ. მშენებლობის ბიუჯეტი 15 374 192 ლარს შეადგენს. სრულფასოვანი საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, პროექტი გარე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს.

სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური



დაცვის მინისტრის მოადგილე **გიორგი ცაგარეიშვილი** და დევნილთა სააგენტოს დირექტორი **დავით კაიკაციშვილი** გაეცნენ

ბორჯომის პარალელურად, იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის საცხოვრებელი კომპლექსები კიდევ 3 ქალაქში – თბილისში, ზუგდიდსა და რუსთავში შენდება.

# მრავალ ახალ წელს, ჩაგუნავებო!



**ჩაგუნავების ღვთისმოსავი, ძირძველი კოლხური გვარის ისტორია საუკუნეებს ითვლის, ამიტომაც გადაწყდა სრულიად საქართველოს საგვარეულო საზოგადოებაში მათი გაერთიანება და საგვარეულო დარბაზის წევრობა.**

ჯერ კიდევ 2013 წლის 13 ოქტომბერს, თბილისში, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა და აკურთხა გვარის სალოცავი წმინდა გიორგის ხატი. სწორედ იმ წლიდან დაფუძნდა ჩაგუნავების საგვარეულო კავშირი.

გვარის დალოცვის შემდეგ მოწვეულ იქნა გვარის თავყრილობა.

საბჭოს საპატიო წევრებად არჩეულ იქნენ არქიტექტორი **ვაჟა ჩაგუნავა,** აღმოსავლეთმცოდნე **ნოდარ მანჩხავა** და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიკოსი **რაულ ჩაგუნავა.**

ყრილობაზე გამოცხადდა ჩაგუნავების გვარის უპირველესი სალოცავი, მარტვილის რაიონის სოფელ ლედგებეში მშენებარე, 1920-იან წლებში ბოლშევიკების მიერ დარბეული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, საიდანაც გავრცელდა ჩაგუნავების გვარი. სწორედ ამ ტაძრის საძირკველზე აშენდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, სადაც დაბრძანდება წმინდა გიორგის ხატი, მას შემდეგ, რაც ჩაგუნავების ყველა ოჯახს მოივლის.

საბჭოს წევრებმა უპირველეს მიზნად დავისახეთ გვარის ისტორიის შესწავლა.

ჩაგუნავების საგვარეულო სათავეს კოლხეთიდან იღებს.ამ გვარის წარმომადგენლები საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ სამეგრელოში და სამეგრელოს მოსაზღვრე იმერეთის რაიონებში.

ჩაგუნავების გვარი საკუთარი სახელიდან „ჩაგუნადან" წარმოდგება. „ჩაგუნა" არის ხალხური გუნდური სიმღერა, სადაც ჩაგუნა მამაკაცის სახელია.

საქართველოში დღეს დადასტურებულია ჩაგუნავების 686 ოჯახი. მათ შორის მარტვილში – 171, თბილისში – 142, ქუთაისში – 50. ცხოვრობენ სხვა ქალაქებშიც.




როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, ჩაგუნავა, ჩაგანავა, ჩაგინავა, ჩალიგავა ერთი და იგივე წარმოშობის გვარებია.

ჩაგუნავების ერთი შტო სოფელ დიდღვაბუნას მკვიდრი ყოფილა.

ამ სოფლის მოსახლე ჩაგუნავას დავით დადიანის დაცვის უფროსად უმსახურია ზუგდიდის, გორდის და მურის სასახლეებში.

ირანის ტახტის მემკვიდრეს მოჰამედ რეზას წლების განმავლობაში წვრთნიდა და სპორტის სახეობებში აოსტატებდა ქართველი სპორტსმენი გიორგი (ჟორჟ) ჩაგუნავა. იგი თვით ირანის უფლისწულს აურჩევია თავის მწვრთნელად.

* * *

**ჩაგუნავებში საკმაოდ არიან წარმოდგენილი სასულიერო პირები. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი უჩარდის ძე ჩაგუნავა (1850-1907), რომელიც მოღვაწეობდა გორის სასულიერო გიმნაზიაში და შემდეგ ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმთავარიც ყოფილა.**

ცნობილი თადეოზ ჩაგუნავაც 1873-1964 წლებში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

**მამა მაქსიმე ჩაგუნავა** – ერისკაცობაში **მალხაზ ჩაგუნავა,** ამჟამად ჭყონდიდის ეპარქიის ლედგებეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის და ნაფოსტარის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარია;

**იღუმენი იაკობი,** ერისკაცობაში **ლევან ჩაგუნავა,** ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში სამთაწყაროს წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარია.

გვარში გვყავს საქართველოში ცნობილი მეცნიერები. მათ შორის არიან ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი **რაულ ჩაგუნავა;**



გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იყო **ნოე ჩაგუნავა,** რომელიც 1963-1973 წლებში აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ.

კინოდოკუმენტალისტი, ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი დამაარსებელი იყო **შალვა თადეოზის ძე ჩაგუნავა;**

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსი-ტექნოლოგი, პროფესორი იყო **ვლადიმერ თადეოზის ძე ჩაგუნავა;**

მოსკოვში მოღვაწეობს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი **ოლეგ ჩაგუნავა;**

მედიცინის დოქტორია ცნობილი კარდიოლოგი **ქეთევან ჩაგუნავა;**

თვალსაჩინო პედაგოგი იყო ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი, მარტვილის რაიონის სოფელ ხიდის სკოლის დირექტორი **ალექსანდრა თადეოზის ასული ჩაგუნავა;**

ომის ვეტერანია საქართველოს შსს აკადემიის პოლკოვნიკი, კათედრის გამგე **დავით ჩაგუნავა;**

ჩინებული თერაპევტია პულმონოლოგი **მირანდა ჩაგუნავა** და სხვები... ჩაგუნავების გვარი მცირერიცხოვანია, ამიტომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ გვარში დემოგრაფიული პრობლემების მოსაწესრიგებლად, საჭიროა მეტი სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება, ახალგაზრდებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა.

**ღმერთმა ამრავლოს და ახაროს ძველი და ახალი თაობის ჩაგუნავები.**

**მრავალ ახალ წელს, ჩემო საფიცარო ჩაგუნავებო!**



**ზურაბ ჩაგუნავა,**
**ჩაგუნავების გვარის წინამძღოლი**



## შევნიშნეთ, ვასწორებთ!

„საქართველოს რესპუბლიკის" 19 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის ხელმძღვანელთაგან მიღებული წერილი „ცალანთა საგვარეულო მატიანე", რომელსაც ამშვენებდა გვარის დღევანდელი წინამძღოლის ხუტა ცალანის პორტრეტი. ტექნიკურად ფოტო ისე განთავსდა, რომ ტექსტის ის მონაკვეთი ყოფილი თავკაცის შოთა ცალანის ღვაწლის შესახებ გვიყვებოდა. ბატონი შოთა ერთი წლის წინათ გარდაიცვალა და მის ადგილზე დღეს წარმატებით მოღვაწეობს ამ შესანიშნავი წერილის ავტორი და ფოტოზე გამოხატული პიროვნება ხუტა ცალანი.

რედაქცია და გვარების წინამძღოლთა დარბაზი ბოდიშს უხდის ბატონ ხუტას და ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ცალანების გვარის აღორძინებას უსურვებს მას.

# რევაზ ინანიშვილის სახელობის «ერთი მოთხრობის» კონკურსის გამარჯვებულები

**20 დეკემბერს, დიდი ქართველი ნოველისტის რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს, საქართველოს მწერალთა სახლში რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის (ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულთან" არსებული) გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.**



ადგილები ასე განაწილდა:

სტანდარტული ნომინაცია:

I პრემია – **ზურაბ კუტიბაშვილი** („მეზღაპრე")

II პრემია – **გოჩა სხილაძე** („მშლატე")

III პრემია – **ლია მამულაშვილი** („ლაფიანხევი")

ნომინაცია „საბავშვო":

გამარჯვებულია **მარინა შავიშვილი** („ჩემი მერცხლები").

სტანდარტულ ნომინაციაში პრიზებით დაჯილდოვდნენ:

**ანანო ნიაური** („გარე კაცი")

**ლევან ლორია** („თეთრი ნათება")

„საბავშვო" ნომინაციაში – **მანანა კაკაჩია** („დიდი გული").

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" პრიზები გადაეცათ:

**ზურაბ გურჩიანს** („წყაროს ცრემლები");

საბავშვო ნომინაციაში – **ლეილა მეტრეველს** („ბიზო").

მწერალ, იტალიის პავიის უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების დეპარტამენტის მოლეკულური ბიოლოგიის პროფესორის **სოლომონ ნერგაძის** პრემია (300 ლარი) ახალგაზრდებისთვის – წლეულს მეხუთედ გაიცა და გადაეცა **ნინო ჩხარტიშვილს** („სევდისფერი ადამიანი").

**არმაზ ბეკარის** – (მწერალი **რეზო ჯორბენაძე)** პრიზი (500 ლარი) გადაეცა ქეთევან ფირუმაშვილს („ორი ქალაქის გარეწარი").

(შეგახსენებთ: **რეზო ჯორბენაძე** – რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის ორგზის გამარჯვებული – გერმანიის მედიცინის დოქტორი, შტუტგარტის ცენტრალური კლინიკის უფროსი კარდიოლოგია).

წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდნენ ახალგაზრდა მწერლები: **სესილ ერაგია** და **ია შამუგია.**

თანამედროვე ქართულ მწერლობაში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის – ნომინაციაში „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე მწერალი" – დაჯილდოვდა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის ქველმოქმედი მწერალი **სოლომონ ნერგაძე.**

ტრადიციისამებრ, პრიზები დააწესეს რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის ქველმოქმედმა ხელოვანებმა: ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების სახელოსნოს „ზილფი ჰენდმეიდის" დამფუძნებელმა **ფატი კახნიაშვილმა** (წელს, მეექვსედ), ასევე მხატვრებმა – **ალექსანდრე ციხელაშვილმა** და **ქეთევან ჯავახიძემ,** პოეტმა და ხელოვანმა **ქეთი დუღაშვილმა.**



საქველმოქმედო წვლილისათვის დიპლომებით დაჯილდოვდნენ ხელოვანები: **ფატი კახნიაშვილი** და **ქეთევან ჯავახიძე.**

**კონკურსის დამაარსებელია პოეტი, ჟურნალ „ანეულის" მთავარი რედაქტორი, ფილოლოგიის დოქტორი თამარ შაიშმელაშვილი.**

...ადამიანთა ოცნებებით გამოგონილი ღმერთქალები მითებში, ლეგენდებსა და ზღაპრებშია. ჩვენ, რუსთაველებს კი, ადამის ნაშიერი, მიწიერი ღმერთქალი მოგვივლინა უფალმა, რათა კიდევ უფრო უკეთ გავახილოთ თვალი და დავინახოთ, როგორია თავმდაბლობით გამორჩეული და ხალხის ავ-კარგის მოზიარე ქალაქის ხელმძღვანელი, როგორი პრინციპულია და ჭეშმარიტად შემართული მაშინ, როდესაც ეს ქალაქს სჭირდება, ჩვენი ნინო ისაა, ვინც კარგად ერკვევა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში, რუსთავ-ქალაქის ეკონომიკასა და სოციალურ ყოფაში, იგი გუნდური ხელმძღვანელია, რომელმაც იცის მაღალპროფესიონალ თანამშრომელთა ფასი, მათი პიროვნული განწყობები, მან კარგად იცის რუსთავი, მისი დღევანდელობა და წარსული...



# ახალი ქალაქი — ნინო ლაცაბიძე! დიდი ისტორია — გივი ჯახუა!

**ამ ყველაფერს და ბევრ სხვასაც დაწვრილებით, დინჯად მიამბობს რუსთაველთა დიდი გულშემატკივარი, რუსთავზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, 94 წლის გივი ჯახუა, რომლის სახელი და გვარი, ძალიან კარგად იცოდა მთელმა საქართველომ დღემდე, იმიტომ რომ იგი ცნობილი ჟურნალისტი და ასევე ძალიან ნიჭიერი და ცნობილი პროზაიკოსია, მაგრამ ამ დღეებში სულ სხვა რამ გახადა ის კიდევ უფრო ცნობილი საქართველოს მასშტაბით და ინტერნეტის ქსელით – საზღვარგარეთაც.**

სიურპრიზი, რომელიც ჩვენი ქალაქის მართლა გამორჩეულმა მერმა, ქალბატონმა ნინომ მოუწყო გივი ჯახუას, უჩვეულოა და იმდენად ორიგინალური, რომ მის გამეორებას (ყოველ შემთხვევაში იმ ფორმით, როგორადაც რუსთავში ჩატარდა) მხოლოდ მიბაძვითღა თუ შეძლებენ ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მოვლენის არსი ასეთია: მას შემდეგ, რაც რუსთავში ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ განახლდა არქეოლოგიური გათხრები ამ ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე დავანებულ სიძველეთა აღმოსაჩენად, ქალაქის მერიის ინიციატივით გაჩნდა ახალი სლოგანი საზოგადოების ყურადღების მისაქცევად და ახალგაზრდების ინტენსიური ჩართვისთვის, არქეოლოგიურ გათხრებში.

**„ახალი ქალაქი დიდი ისტორიით“** – ახლა ეს წარწერა რუსთავში საქალაქო-საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც ამშვენებს, სკვერებსაც, ქალაქში განთავსებულ სარეკლამო სტენდებს და სხვა.




ამ სლოგანის ცოცხალ განსახიერებად იქცა ბატონი გივი ჯახუა, როგორც ქალაქის ისტორიის ცოცხალი მოწმე, მონაწილე, ჟამთააღმწერელი, ყოფილი მეტალურგი, ნიჭიერი კალმოსანი, უშუალოდ ქალაქის იმ ცენტრალურ მოედანზე მოწვევით, სადაც წინასწარ უამრავმა რუსთაველმა, ძირითადად, ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი და აქვე ცენტრში, დიდ ეკრანზე ამ ღვაწლმოსილი კაცის ცხოვრებისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის უამრავი კადრი ენაცვლებოდა ერთმანეთს, გადიოდა ამ შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟიც.

მანამდე კი, შვილიშვილმა, ღვაწლმოსილი ბაბუა ვითომ ვიღაც რუსთაველთან შესახვედრად ავტომანქანით მიიყვანა მოედანზე, სიურპრიზის ადრესატმა არაფერი იცოდა.

...ვერ დავმალავ, ამდენი ხალხი ერთად რომ დავინახე, გავიოცე და დავიბენი, ვერ ვხვდებოდი ჩემს თავს რა ხდებოდა, მერე ქალბატონი ნინო მომეახლა და ყველაფერი გასაგები გახდა, ამჯერად, ჟურნალისტიკის დარგში დაბერებული კაცი თავად ვიყავი ინტერვიუერი, მეკითხებოდნენ და ვყვებოდი ბევრ რამეს, ერთდროულად ვუცქერდი კადრებს ეკრანზე – მე, სრულიად ახალგაზრდა მარტენის საამქროში, მე, უნივერსიტეტის სტუდენტი... მერე, ისევ მეტალურგია და ქალაქის გაზეთში მუშაობა, გაზეთ „მეტალურგის“ რედაქტორიც ვიყავი, შემდეგ ძალიან დიდი გზა, საქართველოს რადიო-ტელევიზიის პირველ არხზე, ქვემო ქართლის შვიდი რეგიონი, რუსთავი, ჩემი და ჩემთან ერთად გაზრდილი ქალაქი... ბევრი, ძალიან ბევრი ქარტეხილი გადავიტანე და სიხარულიც, დამელუპა ვაჟიშვილი, მეუღლე, ბევრი ახლობელი...

კარგა ხანი საქართველოს ბეჭდვით მედია-საშუალებებში ვმუშაობდი, კერძოდ, ჩემს საყვარელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მოგვიანებით კალამს ინტენსიურად ვიყენებდი ჩემი მოთხრობების დასაწერად, გამოვეცი 12 წიგნი, ბევრი ჯილდო მაქვს მიღებული, როგორც მწერალს და ჟურნალისტს, ისიც მინდა გითხრათ, რომ ძალიან ცოტა რუსთაველმა იცის, ლექსებს ვწერდი და ვწერ, ბევრი, უამრავი რამ ვნახე, აი ასეთი გასაოცარი დღე კი, არასოდეს მქონია... მიამბობს ბატონი გივი და სიტყვასიტყვით იმეორებს მოედანზე ნათქვამს, – არამხოლოდ ამ დღისთვის და მადლიერებისათვის, არამედ ყველა რუსთაველის აზრით, ჩვენი ნინო, ნამდვილი ქალღმერთია, უსაზღვრო სიხარული მიდგას გულში...

გივი ჯახუას დაფასებისა და სიყვარულის წილ, კეთილი სიტყვების შემდეგ საჩუქრად გადასცეს ქურთუკი წარწერით „დიდი ისტორიით“, თვითონ ნინომ კი ჩაიცვა ქურთუკი წარწერით „ახალი ქალაქი“, მოედანზე უამრავი ადამიანის თავშეყრის ცენტრში ორი თაობის წარმომადგენელი იდგა, ახალი და ძველი, ისინი, რომელთაც დაწერეს ისტორია და ისინი, რომლებიც ახლა წერენ, უძველეს ხალიბთა ნაფუძარზე აშენებულ ქალაქში ახალ ისტორიას – ეს იყო იმდენად საინტერესო და შთამბეჭდავი სანახავი, ბევრს ცრემლიც კი მოერია...

ბატონ გივის ძალიან ბევრმა რუსთაველმა გაუმჟღავნა იმ დღეს სიყვარული, ბევრი თბილი სიტყვა უთხრა, თავად ერთდროულად ასაკმოძალებულსა და მხნეს, (ის ყოველ დილით ახალგაზრდობის პარკში ვარჯიშობს) ძალიან სიტყვაძუნწსა და ერთდროულად იუმორით სავსეს, ძალიან დაღლილსა და ერთდროულად ისევ ფხიზლად შემართულს საქვეყნო თუ საოჯახო საქმისათვის, უსაყვარლეს მამას, ბაბუასა და დიდ ბაბუას, სათქმელი და მოსაყოლი კიდევ ბევრი აქვს, მაგრამ ვეღარ, თუ აღარ გაგვანდო. მხოლოდ ისევ წიგნების ჩაკირკიტებაზე, პოეზიის უზომო სიყვარულზე გვესაუბრა, გვითხრა, რომ გამუდმებით კითხულობს: გალას, ვაჟას, ტიციანს, პაოლოს, შოთა ნიშნიანიძეს... შეუძლებელია იმის ჩამოთვლა, თუ რამდენი ლექსი იცის ზეპირად ბატონმა გივიმ, გამუდმებით ეცნობა პერიოდულ პრესას, ისევ აანალიზებს ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკას, ყოველთვის და ახლაც მიაჩნია, რომ ქართველობამ უპირველეს ყოვლისა, მიტევება და შერიგება უნდა ისწავლოს, რომ ხვალინდელი საქართველო ნიჭიერმა ხალხმა უნდა აშენოს.

მკითხველს ისიც უნდა ვუთხრათ, რომ გივი ჯახუა უამრავი ჯილდოს მფლობელია ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის დარგში მიღწეული და გაწეული საქმიანობისათვის. იგი რუსთავის საპატიო მოქალაქეა და დიახაც, იმ დიდი სიხარულის ღირსი, ქალბატონმა ნინომ რომ არგუნა წილად, 2025 წლის 14 დეკემბერს.

დავძენთ, რომ ამერიკაში მყოფმა მისმა ქალიშვილმა ნინო ჯახუამ და ქართულმა სათვისტომომ იმ ქალაქში, სადაც ნინო ამჟამად საქმიანობს, ყველამ უყურა ამ გადაცემას და რაღა თქმა უნდა, მათაც, თვალზე ცრემლით. გასაგებია, რატომ... კარგი იქნება სიცოცხლე კიდევ დიდხანს გაგრძელდეს საუკუნეს მიღწეული ბერმუხასათვის, და ჩვენ რუსთაველებს მისი 100 წლის იუბილეც გვეზეიმოს.

დაბოლოს, განა მხოლოდ ასაკია მთავარი, უფრო ის, როგორ ვიცხოვრეთ და რა ვაკეთეთ, რას ვუტოვებთ შთამომავლობას!

გივი ჯახუა ეპოქისთვის ის კაცია, რომლის სახელი მრავალ თაობას შეახსენებს მის პიროვნებას.

არ ვიცი, ვის როგორ, მე კი მის კოლეგას ათეული წლის განმავლობაში, მომეჩვენა, რომ იმ დღით ბატონი გივის თავზე სიყვარულის შარავანდედი ბრწყინავდა, ხოლო რუსთაველები იმ კაცად ხედავდნენ და მიიჩნევდნენ, ილიამ ერის კაცნი რომ უწოდა. ასეთთა დანახვა და მათი წარმოჩენა ერის წიაღშივე დაბადებულ ღირსეულ და ნიჭიერ ადამიანებს შეუძლიათ.

**ლია მარტაშვილი,**



რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე

## რუსთავის ისტორიული მუზეუმის შემაჯამებელი კონფერენცია

**რუსთავის მერიისა და რუსთავის ისტორიული მუზეუმის 2025 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა, რომელსაც რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე უძღვებოდა. ინფორმაციას საქართველოს კულტურის სამინისტრო ავრცელებს.**

ღონისძიებაზე რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ეტაპის შედეგები და უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები მიმოიხილეს. კონფერენციას კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო. რუსთავის ისტორიულ ციხე-ქალაქსა და იქ არსებულ, შუა საუკუნეებით დათარიღებულ სასახლეზე სამუშაოები კულტურის სამინისტროსა და რუსთავის მერიის ორგანიზებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე, მიმდინარე წლის ივლისიდან, ექვსი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ინტენსიური საველე კვლევის შედეგად აღმოჩენილია მრავალი არტეფაქტი, მათ შორის, IX–X საუკუნეებით დათარიღებული სამხედრო აღჭურვილობის უნიკალური ნიმუშები, რკინის სამი მუზარადი და ჯაჭვის პერანგი. ისტორიული ნივთები, იმ ეპოქის საბრძოლო დანიშნულების არტეფაქტებს შორის, ამიერკავკასიაში ერთადერთია. ასევე ნანახია IX-X საუკუნეებით დათარიღებული ულამაზესი მოჭიქული ჭურჭელი.

**მასშტაბურ არქეოლოგიურ გათხრებში, მოხალისეების სტატუსით, პროფესიონალი არქეოლოგები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, რუსთაველი მოსწავლეები და რიგითი რუსთაველები იყვნენ ჩართულნი. რუსთავში მიმდინარე ექსპედიციას დიდი გამოხმაურება ჰქონდა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო მედიაში. აღმოჩენებზე წერდნენ არქეოლოგიაზე სპეციალიზებული მედია პლატფორმები.**





## უფსკრულისკენ...

**ჰარი ტიიდო**

# ჩამოშლილი მსოფლიო წესრიგის ანატომია

**ჰარი ტიიდო,**
**ესტონელი ჟურნალისტი და ყოფილი დიპლომატი**

**საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება არ გაქრეს, მაგრამ მათი როლი და გავლენა იცვლება, მათ სიტყვებსა და ქმედებებს შორის უფსკრული იზრდება და ამ ყველაფერს არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდაპოლიტიკური მოვლენებიც განაპირობებს, აღნიშნავს ჰარი ტიიდო.**

ერთხელ ვიღაცამ თქვა, რომ მსოფლიო სულ უფრო მეტად ემსგავსება უზარმაზარ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს. არ მინდა, ვაწყენინო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ძნელია იმის უარყოფა, რომ ბოლო დროს ჩვენ მსოფლიო წესრიგის, უფრო ზუსტად კი, იმ პრინციპების სწრაფი ეროზიის მოწმენი გავხდით, რომლებსაც ეს წესრიგი ეფუძნება.

ეს არ არის რაღაც უეცარი აფეთქების შედეგი, რომელმაც ყველაფერი ქაოსში ჩააგდო. უფრო მეტიც, ეს არის ნელი რღვევა, რომელიც წლებია გრძელდება. და თუ კიდევ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ამ დაშლის ნიშნები ათწლეულების განმავლობაში შეიმჩნეოდა. უბრალოდ, მაშინ ისინი ასე ფართოდ არ იყო გავრცელებული და გამაფრთხილებელი ნიშნები გამონაკლისებად აღიქმებოდა. გვეგონა, რომ როგორც მსუბუქი გაციება ან კუნთის ხანმოკლე სპაზმი, მალე გაივლიდა. მაგრამ არ გაიარა. მდგომარეობა გაუარესდა.

დღევანდელ კონტექსტში, ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ამაჩქარებელი (საერთაშორისო წესრიგის დემონტაჟის კუთხით), როგორც ჩანს, აშშ-ის ადმინისტრაციის ქმედებებია. შეერთებული შტატები, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, არსებული გლობალური სისტემის გარანტორად მიიჩნეოდა. მაგრამ ახლა ნათელი გახდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში აშშ-ის „ოდენა" სიცარიელე გაჩნდა.

გასული საუკუნის მიჯნაზე, ადამიანებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ საერთაშორისო წესრიგი ნიშნავდა წესების, ინსტიტუტებისა და ვალდებულებების სისტემას. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც კანონები აღარ განსაზღვრავს დასაშვებობის საზღვრებს და საერთაშორისო ინსტიტუტებმა არა მხოლოდ ეფექტურობა, არამედ სიმბოლური წონაც დაკარგეს. ძალა კვლავ ხდება, ან უკვე გახდა დომინანტური ფაქტორი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში. საერთაშორისო წესრიგი ერთ ღამეში არ გამქრალა; ის თანდათანობით დაიშალა კომპრომისების, გამონაკლისებისა და, ძალიან ხშირად, დუმილის მეშვეობით.

**საერთაშორისო სამართალი ყოველთვის ეყრდნობოდა სახელმწიფოების კეთილ ნებას. თუმცა, ეს კეთილი ნება ათწლეულების განმავლობაში დეფიციტურია. ის მოვლენები, რომლებიც წესებს არღვევდა, კვლავ და კვლავ გამონაკლისად ან ანომალიად ფასდებოდა. ყოველთვის ივარაუდებოდა, რომ მსოფლიო წესრიგის დამრღვევებს პასუხს მოსთხოვდნენ და საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმებული პრინციპების მიხედვით დასჯიდნენ. მაგრამ უმეტესწილად, ეს არასდროს მომხდარა.**

დიდი სახელმწიფოები ყოველთვის სარგებლობდნენ მეტი უფლებით, ხოლო პატარა ერები ნაკლებს უნდა დასჯერებოდნენ. შეხედეთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გამოცდილებას: მისი საქმეების უმეტესობა აფრიკელ დესპოტებს ან ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ერთეულ ფიგურებს შეეხებოდა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გლობალური სამხრეთი გლობალურ დასავლეთს დისკრიმინაციაში ადანაშაულებს.

**ახალი მაგალითები კიდევ უფრო თვალშისაცემია. ომის დანაშაულების ბრალდებით დაპატიმრების ორდერები გაიცა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუზე. თუმცა ყველამ იცის, რომ მიზერულია იმის შანსი, რომელიმე მათგანი ოდესმე ჰააგის საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს.**

**უფრო მეტიც – არაერთმა ქვეყანამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, ისრაელმა და რამდენიმე სხვა სახელმწიფომ, სასამართლოს წესდებასთან მიერთებაზე უარი თქვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ქვეყნები არ აღიარებენ სასამართლოს უფლებამოსილებას, გაასამართლოს მათი მოქალაქეები. ამ კლუბს ახლა უნგრეთიც შეუერთდა, რომელმაც, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის წინ, რომის სტატუტიდან გასვლის შესახებ გააკეთა განცხადება.**

კიდევ უფრო შორს მიდის სასამართლოსადმი შეერთებული შტატების დამოკიდებულება. სასამართლოს დაარსებიდან მალევე, 1998 წელს, კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ცნობილია როგორც „ჰააგაში შეჭრის აქტი". ის პრეზიდენტს ანიჭებდა უფლებამოსილებას, ყველა საჭირო საშუალება გამოეყენებინა აშშ-ის მთავრობის ოფიციალური პირების გასათავისუფლებლად, თუ მათ სასამართლოს განკარგულებით დააკავებდნენ. ასე რომ, საერთაშორისო სტრუქტურების ძირის გამოთხრა და მათი ავტორიტეტის იგნორირება ახალი მოვლენა არ არის.

**აღსანიშნავია, რომ ავტორიტარული რეჟიმებიც კი გრძნობენ საჭიროებას, თავიანთი ქმედებები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გაამართლონ. რუსეთი ბევრს ეცადა, რომ უკრაინის წინააღმდეგ თავისი სრულმასშტაბიანი აგრესია სამართლებრივ ჭრილში წარმოეჩინა. ანალოგიურად, „ჰამასი" ისრაელზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის გამართლებას სამართლებრივი არგუმენტებით ცდილობდა.**

ისრაელი არაერთხელ იშველიებდა საერთაშორისო სამართალს ღაზაზე თავისი ფართომასშტაბიანი თავდასხმების გასამართლებლად. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე დასახლებების შექმნის გზით, ის ათწლეულების განმავლობაში უგულებელყოფდა გაეროს რეზოლუციებს. ეს ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართალი, თავისი არსით, მოსახერხებელი სიტყვათწყობაა, რომელიც ხშირად კარგავს კავშირს რეალობასთან.

რასაც ახლა ვხედავთ, სავარაუდოდ, ბუნებრივი პროცესია, რომელიც, უბრალოდ, უარყოფითი მიმართულებით მოძრაობს. არცერთი კანონი, მათ შორის საერთაშორისო სამართალი, არ არის ქვაზე ნაკვეთი. ყველაფერი გარემოებებთან ერთად იცვლება. შესაძლოა, ჩვენ, უბრალოდ, ისეთ ისტორიულ ფაზაში ვართ, სადაც სახელმწიფოები უბრუნდებიან ძალაუფლების პრინციპებს, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის უმეტეს პერიოდში იყო გაბატონებული. ოღონდ, ეს ძალაუფლება ახლა ბევრად უფრო დამანგრეველ და საშიშ დონეზე ხორციელდება.

ეს მსოფლიო წესრიგში ცვლილებაზე მიუთითებს. საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება არ გაქრეს, მაგრამ მათი როლი და დანიშნულება შეიცვლება, სიტყვებსა და საქმეებს შორის უფსკრული გაიზრდება და ამ ცვლილებებს არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდაპოლიტიკური მოვლენებიც განაპირობებს.

**დემოკრატიაზე საუბრისას, რუსეთის ხსენებას აზრიც არ აქვს. მაგრამ ახლა სწორედ აშშ-ის ადმინისტრაციაა ის, რომელიც საკუთარ დემოკრატიულ სისტემას ანგრევს. ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დასავლური დემოკრატიული წესრიგის საყრდენად მიიჩნეოდა, ამ როლზე პრეტენზიას ვეღარ აცხადებს. ეს კონცეფცია შეიძლება დავივიწყოთ. შეერთებული შტატები აღარ არის გამოსავალი – ის სულ უფრო მეტად ხდება პრობლემის ნაწილი. დროა, ამას შევეჩვიოთ. რაც მალე, მით უკეთესი.**

**იმ დროს, როცა შეერთებულმა შტატებმა დაკარგა არა მხოლოდ დემოკრატიული სამყაროს, არამედ ფაქტობრივად მთელი საერთაშორისო სამყაროს ლიდერის როლი, ჩინეთი აღმავლობას განიცდის. როდესაც აშშ ტოვებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ჩინეთი ცდილობს, ეს ინსტიტუტები საკუთარი ხედვის შესაბამისად გარდაქმნას. როდესაც აშშ ამცირებს მესამე სამყაროს განვითარებისთვის საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას, ჩინეთი სწრაფად იკავებს მის ადგილს. ასე რომ, მსოფლიო, შესაძლოა, ახალი წესრიგისკენ მიემართება - ისეთისკენ, რომელიც ჩინური მოდელების მიხედვით ყალიბდება.**

# სტალინი – გენიალური „დიქტატორი“

## VI ნაწილი

(გაგრძელება)

**1953 წლის იანვარში საბჭოთა ექიმები დააპატიმრეს. „ექიმთა საქმე“ უკანასკნელი სტალინური კამპანია იყო, რომლითაც საბჭოთა დაზვერვამ ერთგვარი რეკრუტირება მოახდინა. მსოფლიო დონის საბჭოთა მედიკოსი პროფესორები და აკადემიკოსები დაადანაშაულეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი პირების მოწამვლის მცდელობაში.**



კრემლში ატმოსფერო საშინლად დაიძაბა. სტალინი არავის აღარ ენდობოდა. ბანკეტებზე ბერიას ავალებდა, მისი თეფშიდან პირველი ლუკმა მას შეეჭამა, ხოლო მალენკოვს მისი ბოკალიდან დაელია. ყველაფერ ამას ბელადი ხუმრობაში ატარებდა, მაგრამ აშკარა იყო, განსაკუთრებულად ფრთხილობდა.

ვალენტინა იხსენებს 13 იანვარს.

მაგიდასთან იჯდა მხოლოდ ვიწრო წრე.

სტალინი პირქუშად გამოიყურებოდა. მოწყენილი იყო; თითქოს დაბერდა ბოლო თვეების განმავლობაში, თუმცა ცდილობდა, არავის შეეტყო. ვალენტინა მაინც ამჩნევდა მისი ხელების კანკალს.

– ამხანაგებო, – თქვა მან, – მტრებს არ სძინავთ, მათ ყველგან შეაღწიეს. მათ შორისაც კი, რომელთაც ვანდობდით ჩვენს სიცოცხლეს.

ყველა ხვდებოდა, რომ საუბარი ექიმებს ეხებოდა.

– აკადემიკოსი ვინოგრადოვი, რომელიც პოლიტბიუროს წევრებს მკურნალობდა, უკვე ლეფორტოვოშია **(ლეფორტოვოს ცნობილი ციხე – მთარგ.).** ვინოგრადოვი ჩემი პირადი ექიმი იყო 20 წლის განმავლობაში და ეს კაცი ინგლისის აგენტი აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, ამხანაგებო, რას აკეთებდა ის მთელი ამ წლების განმავლობაში!

მალენკოვი შეეცადა ბელადის სიტყვების მხარდაჭერას:



**სტალინის პირადი ექიმი ვინოგრადოვი**

– საშინელი ღალატი, ამხანაგო სტალინ, კიდევ კარგი, რომ გამოვააშკარავეთ.

– დიახ, – თვალები მოჭუტა სტალინმა, – მაგრამ, ვინ იცის, რამდენი ვინოგრადოვია კიდევ ჩვენს შორის, – თქვა ეს და თვალი მოავლო გარშემომყოფებს.

ყველა გაქვავებული იჯდა.

– იცით? ამასწინათ უცნაური სიზმარი ვნახე, – განაგრძო ბელადმა, – თითქოსდა მე გარდავიცვალე, თქვენ კი იდექით ჩემი ცხედრის გარშემო და ტიროდით, თქვენ შორის ერთი იცინოდა; გამოიცანით, ვინ იყო ის?!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– ვერ გამოიცანით?! – მწარედ ჩაიცინა სტალინმა, – წარმოიდგინეთ, რომ მეც ვერ დავინახე სახე, მაგრამ ვიცი, ის ჩვენს შორის არის. ამ სიტყვების შემდეგ ყველამ ერთმანეთს შეხედა. ეჭვი ყოველგვარ სწრაფმოქმედ საწამლავზე უფრო ძლიერად მოქმედებდა.

* * *

**20 იანვარს კრემლში მიღება გაიმართა ლენინის გარდაცვალების დღესთან დაკავშირებით. უცნაური იყო გარდაცვალების დღის აღნიშვნა, მაგრამ სტალინმა ეს დაჟინებით მოითხოვა.**

მაგიდასთან რამდენიმე ადგილი იყო თავისუფალი, თუმცა თეფშები და ბოკალები, ჩვეულებრივ ეწყო თავისუფალი სკამების გასწვრივ. ყველამ იცოდა, რომ ეს იყო იმ ექიმების ადგილები, რომლებმაც სამშობლო გაყიდეს.

აკადემიკოსი ვინოგრადოვი, წესით, მიქოიანის მარჯვნივ უნდა მჯდარიყო, მაგრამ ადგილი თავისუფალი იყო, მაგიდაზე კი ყველაფერი ეწყო ისე, თითქოს ამ ადგილის პატრონი აგერ-აგერ უნდა გამოჩენილიყო. ეს იყო სტალინის ფსიქოლოგიური ტრიუკი, იმის საილუსტრაციოდ, რომ დანარჩენებს ეფიქრათ, იმავეს თუ მოიმოქმედებდნენ, მათი ადგილებიც ასევე ცარიელი დარჩებოდა.

**გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №139, 144, 146, 148, 154, 163, 165**



Иовсерпсатиннаая оорнио Совстичало Соизта

ПРАВДА

Орган Центрвльього Конитета
Моммучистиееской партия Советенего Союза

Я. 13 (2331) | Вверенж. 13 января 1953 нвоа | 1933. 29 USI.

ПОДЛЫЕ ШПИОНЫ И УБИЙЦЫ
ПОД МАСКОЙ ПРОФЕССОРОВ-ВРАЧЕЙ



იმ საღამოს სრულიად ახალი კერძი შემოიტანეს – თევზის ჟელეს სტერაჟი.

სტალინი კერძს ყურადღებით დააკვირდა.

– ვინ მოამზადა? – იკითხა მან.

– ახალმა მზარეულმა, ამხანაგო სტალინ, – მიუგო დაცვის უფროსმა ვლასიკმა, – შემოწმებულია!

– ახალი მზარეული? – გაუკვირდა ბელადს, – მოვიდეს და პირველმა თვითონ გასინჯოს.

მზარეული, 30 წლის ახალგაზრდა კაცი, ბელადის პირისპირ რომ აღმოჩნდა, ემოციისგან ისე აკანკალდა, რომ ძლივს შეძლო ჩანგლის ხელში დაჭერა.

– ჭამე! – უბრძანა სტალინმა.

მზარეულმა პირში ჩაიდო ჟელეს ლუკმა და ძლივძლივობით გადაყლაპა.

– ახლა ცოტა ხანს დაიცადე, – უთხრა ბელადმა და საათს დახედა.

ყველა დაკვირვებით უყურებდა მზარეულს, რომელიც შუა დარბაზში იდგა გაფითრებული, აკანკალებული და ოფლით შუბლდაცვარული.

– გადარჩი? – ჰკითხა სტალინმა.

– დიახ, ამხანაგო სტალინ.

– კარგი, შეგიძლია წახვიდე, მაგრამ ჟელე წაიღეთ.

ხრუშჩოვი შეეცადა განემუხტა სიტუაცია და წამოიწყო ანეკდოტი ქართველზე და ვირზე.

სტალინს არ გასცინებია.

– ნიკიტა, – თქვა მან ცივად, – შენ გგონია, რომ ახლა ხუმრობის დროა?

– მე, უბრალოდ, მინდოდა, – ამოილუღლუღა ხრუშჩოვმა.

– შენ გინდოდა, ყურადღება გადაგეტანა, მაგრამ რისგან, ნიკიტა, რას მალავ?

ხრუშჩოვი გაფითრდა და თავის მართლება დაიწყო, მაგრამ უკვე ყველაფერი იყო ნათქვამი.

* * *

**სტალინის ექიმი, აკადემიკოსი ვლადიმერ ნიკიტას ძე ვინოგრადოვი უკანასკნელად 5 იანვარს მიიწვიეს კრემლის ვახშამზე. ის მივიდა იმის მიუხედავად, რომ შეეძლო, უარი ეთქვა. დაჯდა თავის ჩვეულ ადგილას, მიირთვა, დალია და ბელადის სადღეგრძელოც კი წარმოთქვა.**

– მე თქვენ გისურვებთ, ამხანაგო სტალინ, – უთხრა მან იოსებ ბესარიონოვიჩს და ბოკალი ასწია ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია, – იცოცხლოთ 100 წელი, მაგრამ, ვშიშობ, თქვენი გული...

– რა სჭირს ჩემს გულს? – სწრაფად ჰკითხა ბელადმა.

– ის დაიღალა, თქვენ ძალიან ბევრს მუშაობთ, ცოტა გძინავთ, რაც ძალიან საფრთხილოა თქვენს ასაკში.

* * *

**კრემლში სიტუაცია უფრო და უფრო იძაბებოდა. გამყიდველთა გარემოცვაში სტალინს არ ჰქონდა ნორმალური ძილის, დასვენების, არსებობის საშუალება. დაძაბული იყო ყველა.**

ბერია საკუთარ დეგუსტატორთან ერთად დადიოდა ვახშმებზე.

მალენკოვი მიირთმევდა მხოლოდ იმას, რაც სახლიდან ჰქონდა მოტანილი.

მოლოტოვი ბანკეტებზე აღარ დადიოდა მეუღლის ავადმყოფობის მომიზეზებით. პოლინა მაშინ უკვე იყო პატიმრობაში.

სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე სტალინმა ვალენტინას უთხრა ისეთი რამ, რომლის შინაარსს გოგონა 30 წლის შემდეგ მიხვდა.

– ისინი, ყველა, ელოდებიან, როდის მოვკვდები, მაგრამ მე მათ ყველას გადავარჩენ, რაც მთავარია, ქვეყანას გადავარჩენ. მკვდარიც კი ვიცოცხლებ დიდხანს!!!

მაშინ ეს სიტყვები ვალენტინას დაღლილი მოხუცის ბოდვად მოეჩვენა, მაგრამ გვიან მიხვდა, რომ ბელადის სახელი და მის მიერ შექმნილი ქვეყანა, მისი სიკვდილის შემდეგაც კი მთელ საბჭოთა ხალხს დაიფარავდა.

* * *

**უკანასკნელი ვახშამი ჩვეულებრივად დაიწყო, დაახლოებით, ღამის 11 საათზე. თანმიმდევრობით მოვიდნენ: ბერია, მალენკოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი. მოლოტოვი არ მოუწვევიათ. ვალენტინაც იქ იყო.**

დაკვირვებულ გოგონას ყველა დეტალი დაამახსოვრდა: სტალინი უჩვეულოდ მხიარულ ხასიათზე იყო, განსაკუთრებულად ხუმრობდა ბერია, შესამჩნევი იყო მალენკოვის ნერვიული საქციელი, დუმდა ბულგანინი.

სტალინი სტუმრებს საშინაო ფორმაში ჩაცმული დახვდა, კიტელის გარეშე. ბელადი დაღლილად გამოიყურებოდა, მაგრამ არა ავადმყოფურად. იხუმრა კიდევაც:

– რა დაბღვერილი ხართ ყველა, თითქოს დაკრძალვაზე იყოთ.

ყველამ გაიცინა.

ბელადის ხუმრობა სარკასტულად ისმოდა.

მაგიდას რომ შემოუსხდნენ, სტალინმა თვითონ დაასხა საუკეთესო ქართული ღვინო, რომელიც, ქართული წესის მიხედვით, პირადად ჰქონდა გადანახული სადღესასწაულო სუფრებისთვის.

– ჩვენ დიად სამშობლოს გაუმარჯოს! – თქვა მან.

ეს იყო პირველი სადღეგრძელო, რომელსაც, ტრადიციულად, ყოველთვის, ვახშმის დაწყებისას წარმოთქვამდნენ.

სტალინი სხვა დროს ტუჩს მიაკარებდა ხოლმე სასმელს, ახლა ბოკალი ბოლომდე დაცალა.

ვახშამი ჩვეულებრივად მიდიოდა.

განიხილეს ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე პლენუმის საკითხები.

ბელადი უჩვეულოდ იყო გამოცოცხლებული, რაღაცნაირად აღგზნებულიც კი ჩანდა.

– იცით, – თქვა მან მოულოდნელად, – გადავწყვიტე ახალი, დიდი „წმენდა“ ჩავატარო. ბიუროკრატები და კარიერისტები მოგვიმრავლდნენ. დავიწყებთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროდან, – თქვა და ბერიას გადახედა, – იგნატიევი ამბობს...

– იგნატიევი თავად მტერია, – შეაწყვეტინა ბერიამ, – ის ცილს სწამებს პატიოსან თანამშრომლებს.

– ვნახოთ, – მიუგო სტალინმა დაფიქრებით, – მალე ყველაფერი ცხადი გახდება.

ღამის 2 საათზე ბელადმა ცუდად იგრძნო თავი.

ვალენტინამ შეამჩნია, რომ მას ფერი წაუვიდა და მაგიდის კიდეს უღონოდ დაეყრდნო.

– რაღაც უჰაერობაა, – თქვა მან, – ფანჯარა გამოაღეთ.

ბულგანინი ფანჯარას ეცა.

ოთახში თებერვლის ცივი ჰაერი შემოიჭრა.

სტალინს უკეთესობა დაეტყო.

– ცუდი ყოფილა სიბერე, – მწარედ ჩაიცინა მან, – ადრე შემეძლო მთელი ღამე გამეთენებინა სუფრასთან.

ვალენტინა ამჩნევდა ბელადის მარჯვენა ხელის სუსტ კანკალს.

იოსებ ბესარიონოვიჩი ცდილობდა, ხელის კანკალი მისთვის არავის შეემჩნია და იმ ხელს მაგიდას მაგრად უჭერდა.

ღამის 3 საათზე სტალინი მაგიდიდან წამოდგა.

– კარგი, ამხანაგებო, დაიღალა მოხუცი, წაბრძანდით სახლებში.

სხვა დროს ვახშამი დილამდე გრძელდებოდა, ამიტომ ვახშმის ადრე დამთავრებამ შეაშფოთა სტუმრები.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძემ**

(გაგრძელება იქნება)



# ბარაქიანი ანგარიში

**სასტუმრო „ტელეგრაფში“ გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2025 წლის საანგარიშო სესია.**

დამსწრე საზოგადოებას სეოკ-ის 2025 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა.** მან ისაუბრა სეოკ-ის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, მნიშვნელოვან ოლიმპიურ პროექტებზე, სხვადასხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მიღწეულ წარმატებებზე, სამომავლო გეგმებზე:

ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ არაერთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, არაერთხელ ააფრიალეს საქართველოს დროშა – მათ შორის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ასევე ახალგაზრდულ ტურნირებში. სპორტული წლის შედეგებიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ქალთა ძიუდოს ლიდერის **ეთერ ლიპარტელიანის,** ფარიკაობის ქართული სკოლის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლის **სანდრო ბაზაძის** და 18 წლის მოჭიდავის **ვახტანგ ლოლუას** მიერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, ქართველ ძიუდოისტთა გუნდური გამარჯვება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ჩვენი კალათბურთელების წარმატებული გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, ნიჭიერი მოციგურავის **ინგა გურგენიძის** ისტორიული ოქროს მედალი ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

წლეულს, თებერვალში საქართველომ ღირსეულად უმასპინძლა ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ჩვენ წარმატებით ჩავაბარეთ კიდევ ერთი გამოცდა, როცა პირნათლად შევასრულეთ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების წინაშე აღებული ვალდებულებები. ამავე დროს, სწორედ ფესტივალის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს შეემატა ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რომელიც მოემსახურება ზამთრის სპორტის შემდგომ განვითარებას. ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება შეუძლებელია ჩვენი პარტნიორების, უპირველესად კი – სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. საქართველოს ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკის თანახმად, სპორტის განვითარება პრიორიტეტულ საქმედ არის მიჩნეული და, შესაბამისად, წლიდან წლამდე იზრდება სპორტისთვის გამოყოფილი სახსრების ოდენობა. საბიუჯეტო სუბსიდიები, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი სპორტისთვის, ამავე დროს, ერთგვარი გარანტიაა შემდგომი წინსვლისა და სპორტული შედეგების გაუმჯობესებისთვის.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია დაგეგმილი და უკვე მიმდინარე უპრეცედენტო ინვესტიციის განხორციელება ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის სპორტში ახალგაზრდების მასობრივად ჩასაბმელად, საწვრთნელი პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას სპორტის სამინისტროს, როგორც ცალკე სამთავრობო უწყების შექმნის შესახებ. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტი პრიორიტეტული დარგია. ახალი სამინისტროს და ოლიმპიური კომიტეტის ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა მიმართულია იქითკენ, რომ დაფინანსდეს ოლიმპიური პროგრამები, მიზნობრივი საწვრთნელი შეკრებები, სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობა, სხვადასხვა ოლიმპიური ღონისძიებები.

2026 წელს ჩასატარებელი საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ სესიის მონაწილეებს პრეზენტაცია წარუდგინა სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა**.

ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ წლევანდელი წლის იუბილარები: ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **თამარ ბალავაძე,** სპორტის უნივერსიტეტის რექტორი **ტრისტან გულბიანი,** ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სახელოვანი ფეხბურთელი **რევაზ ძოძუაშვილი,** ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **ნესტორ ხერგიანი,** საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ალექსი ახვლედიანი**. ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციისთვის სპეციალური ჯილდო გადაეცა ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს **ელენე ბილიხოძეს.**

# კეისარს – კეისრისა

**ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესიის შემდეგ გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით 2025 წლის სპორტული შედეგების მიხედვით სხვადსხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილოების ცერემონია, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ლაშა დვალიშვილი.**



დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა**.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნომინაციებში გამარჯვებულები:**

**2025 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები:**

მსოფლიოს ჩემპიონები – ძიუდოისტი **ეთერ ლიპარტელიანი** და მოფარიკავე **სანდრო ბაზაძე.**

ოლიმპიური იმედი – ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონი **ვახტანგ ლოლუა.**

ოლიმპიური იმედი – ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული **ინგა გურგენიძე.**

2025 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები სპორტის ზამთრის სახეობებში – ფიგურულ სრიალში მსოფლიოს ჩემპიონები ახალგაზრდებში, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები – **ლუკა ბერულავა** და **ანასტასია მეტელკინა.**




2025 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი სპორტის სათამაშო სახეობებში – სახელოვანი კალათბურთელი **თორნიკე შენგელია.**

2025 წლის საუკეთესო ფედერაცია – საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია.

2025 წლის ქალთა სპორტში დასაქმებული საუკეთესო მწვრთნელები – **მეგი ქადაგიძე** (ტყვიის სროლა) და **თეიმურაზ ჯანჯღავა** (ძალოსნობა).

2025 წელს სეოკ-ის საუკეთესო რეგიონული ორგანიზაცია – სეოკ-ის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაცია.

2025 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი – **კახაბერ მოცრაძე** (ძიუდოს ქალთა ნაკრების მწვრთნელი).

ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – **პაატა ნაცვლიშვილი** (სეოკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი)

2025 წელს ოლიმპიური სპორტის მხარდაჭერისთვის – სეოკ-ის გენერალური სპონსორი „საქართველოს ბანკი“

2025 წლის საუკეთესო სპორტული გუნდი – საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები.

# სფფ-ს პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის 10-წლიანი მონაგარი

**ფიფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე, უეფას აღმასკომის წევრი და ფეხბურთის კომიტეტის თავკაცი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში – ეს ლევან კობიაშვილია, რომელმაც სეზონის მიწურულს უეფას ოფიციალურ ვებ-გვერდს საინტერესო ინტერვიუ მისცა. გთავაზობთ მისი საგაზეთო ვარიანტის შემოკლებულ ვერსიას მონოლოგის სახით.**

– ყოველთვის ვიცოდი, რომ ხანგრძლივი გერმანული კარიერის დასრულების შემდეგ სამშობლოში დავბრუნდებოდი. 2015 წელს, როცა სფფ-ს პრეზიდენტად ამირჩიეს, ქართული ფეხბურთი მძიმე პერიოდს გადიოდა და მინდოდა ჩემი მდიდარი გამოცდილება ქართულ ფეხბურთს მოხმარებოდა.

– მწვრთნელობა არასოდეს ყოფილა ჩემი პრიორიტეტი, თუმცა ლიცენზია მაინც ავიღე, რადგან მიმაჩნია, რომ ფუნქციონერმა მწვრთნელის მუშაობის სპეციფიკა კარგად უნდა იცოდეს. მენეჯმენტის შესწავლის შემდეგ მივხვდი, რომ ეს საქმე ჩემს ხასიათს უფრო მეტად შეესაბამებოდა.

– გზა, რომელიც გავიარეთ, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით სავსე იყო. პირველი წლები ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას დავუთმეთ – მთავრობისა და ბანკ ქართუს თანადგომით მეტი სტადიონი და მეტი საწვრთნელი ბაზა ავაშენეთ, რამაც ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

– რაც შეეხება განსაკუთრებულ მოვლენას, ასეთად საბერძნეთთან თბილისში მოგებული პლეი-ოფი უნდა მივიჩნიოთ. დიახ, იმ საღამოს თბილისში ამოფრქვეულ ემოციებსა და გულშემატკივართა სიხარულს ვერასდროს დავივიწყებ. ეს იყო დღე, როცა მთელი საქართველოს ოცნება რეალობად იქცა.

– რა თქმა უნდა, ძალიან დაგვეხმარა გამორჩეული თაობა **კვარაცხელიას, მამარდაშვილისა** და სხვა ტოპ-კლასის მოთამაშეთა სახით, თუმცა მხოლოდ მათი ინდივიდუალური ოსტატობა და **ვილი სანიოლის** სამწვრთნელო ნიჭის ფაქტორი საკმარისი არ იქნებოდა. ამ ტრიუმფს მთელმა ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა ერთად მიაღწია.



– არანაკლებ საამაყოა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მონაწილეობისთვის არ ჩავსულვართ: დავამარცხეთ მრისხანე პორტუგალია, ხოლო მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან ანგარიშში თითქმის 40 წუთის განმავლობაში ვლიდერობდით. ასე რომ, ჩვენი მიზანია ევრო – 2024 ჯვაროსანთათვის პირველი და უკანასკნელი ტურნირი არ აღმოჩნდეს.

– უმადურნი ვიქნებით, თუ არ გავუსვამთ ხაზს, რომ ერთა ლიგა ფანტასტიკური პროექტია, რადგან სწორედ ამ ტურნირმა მოგვცა შარშანდელ ფორუმზე მოხვედრის ისტორიული შანსი. თუ გავიხსენებთ, პირველ გათამაშებაში საქართველო „დ“ დივიზიონში თამაშობდა, ამჟამად კი „ბ“ დივიზიონში ვართ, რაც უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. ლოგიკურია, რომ ქომაგი მუდმივ პროგრესს ითხოვს და ჩვენი ამბიცია უკვე „ა“ დივიზიონში აღზევებაა.

– არანაკლებ მადლიერნი ვართ უეფას „ჰეთ-თრიქის“ პროგრამის. პირდაპირ გეტყვით: რომ არა ეს პროგრამა, ასეთ შედეგებს ვერ მივაღწევდით. მართლაც, მთელი ის ინფრასტრუქტურა, რაც ბოლო წლებში რეგიონებში კეთილმოეწყო, სწორედ მისი დამსახურებაა.

– სეზონის შეჯამებისას უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული ნაკრებისთვის წელი არაერთგვაროვანი გამოდგა: ერთის მხრივ, ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში ადგილი სომხეთთან პლეი-ოფში წარმატებით შევინარჩუნეთ, მაგრამ ესპანეთთან და თურქეთთან უთანასწორო ბრძოლაში ჩავაგდეთ მუნდიალ – 2026-ის შესარჩევი ციკლი.

ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს 21-წლამდელთა მიერ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება და ფუტსალის ნაკრების მიერ ამავე საგზურის ზედიზედ მეორედ დაუფლება.

– ასევე, უდიდესი პროგრესი გვაქვს ქალთა ფეხბურთში – დღეს ათასობით გოგონას აქვს შესაძლებლობა, თავის საყვარელ სახეობაში ივარჯიშოს, რაც წლების წინათ წარმოუდგენელი იყო, ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი კი შიდა ჩემპიონატის გაძლიერებაა!



# აჭარის კულტურის სამინისტრომ 2025 წლის შემაჯამებელი ღონისძიება „წლის შემოქმედებითი პერსონა“ გამართა

**აჭარის კულტურის სამინისტრომ 2025 წლის შემაჯამებელი ღონისძიება „წლის შემოქმედებითი პერსონა“ გამართა.**

ღონისძიება მიზნად ისახავდა კულტურის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შეჯამებას და შემოქმედებითი პროცესების წახალისებას, ხელოვანების მხარდაჭერას.

მოწვეულ სტუმრებს კულტურის მინისტრმა **ელისო ბოლქვაძემ** მისასალმებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს აჭარის რეგიონში კულტურული პროგრამა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მინისტრმა ისაუბრა მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

**„2025 წლის განმავლობაში, აჭარის კულტურის სამინისტრომ, დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან ერთად, გამართა 600 კულტურული ღონისძიება, რომელთა განხორციელებაში ჩართული იყო 7 ათასამდე ადამიანი. მომავალი წლისთვის გვაქვს ახალი იდეები და გეგმები და მჯერა, კულტურის სამინისტროს დიდ გუნდთან ერთად, წარმატებულ პროექტებს განვახორციელებთ, რაც რეგიონს მეტ კეთილდღეობას მოუტანს. დღეს დავაჯილდოვეთ შემოქმედებით პროცესებში აქტიურად ჩართული ადამიანები და ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ხელოვანების სტიმულირებას“**, – აღნიშნა **ელისო ბოლქვაძემ.**

საღამოზე აჭარის კულტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებმა, ვიდეორგოლების საშუალებით, წარმოადგინეს 2025 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და მიღწევების შესახებ ანგარიშები.

**გაიმართა დაჯილდოება „წლის შემოქმედებითი პერსონა“ – ჯილდოები გადაეცათ ადამიანებს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ შემოქმედებით პროცესებში.**

# ტაძრის გაქურდვა არ შერჩა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ქურდობის ბრალდებით, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1979 წელს დაბადებული ნ.გ. დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა დაბა სურამში მდებარე ერთ-ერთი მონასტრის შესაწირ ყუთში არსებულ თანხას, საეკლესიო ნივთებს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ასევე დგინდება, რომ აღნიშნული მონასტერი დანაშაულში ბრალდებულმა პირმა წარსულშიც გაქურდა. ჩატარე-



ბული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ნ.გ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. სამართალდამცველებმა ნაქურდალი თანხისა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ჩადენილი დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ...14 წლის გოგონას თვითდაზიანებები აქვს!

**პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონო მოპოვების, შენახვისა და გამოყენების, ასევე თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ფაქტებზე ერთი პირი დააკავა.**

„თბილისის პროკურატურის პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სოციალური ქსელის – „Instagram“-ის ყალბი ანგარიშის მეშვეობით 14 წლის არასრულწლოვანთან მიმოწერას აწარმოებდა, რა დროსაც ინტიმური შინაარსის ვიდეომასალას უგზავნიდა. ასევე, მუქარის და იძულების შედეგად, მოიპოვა და უკანონოდ ინახავდა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს შემცველ ინტიმური შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალას, რომლის გავრცელების მუქარით, არასრულწლოვანს სხვა ინტიმური მასალის გაგზავნას და მასთან ურთიერთობის გაგრძელებას აიძულებდა. ბრალდებული დაზარალებულის დაყოლიებას სხვადასხვა გზით ცდილობდა, მათ შორის, არასრულწლოვანს და მასთან დაკავშირებულ პირებს ანგარიშზე პერიოდულად თანხას ურიცხავდა.

ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედებების გამო, არასრულწლოვანმა სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა. დაკავებულს ბრალდება წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჯგუფურად ჩადენილ თაღლითობის ფაქტზე 2 პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 2001 წელს დაბადებული ლ.ძ. და 1993 წელს დაბადებული დ.გ. წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, დიდი ოდენობით მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით თბილისში, კრიპტოვალუტის ჩასარიცხ აპარატში, ფულადი თანხის ნაცვლად ყალბი ბლანკები მოათავსეს, რომლებიც აპარატის მიერ აღქმული იქნა ფულად თანხად. ბრალდებულების მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, კრიპტოვალუტის ჩასარიცხი აპარატის მფლობელ კომპანიას 8000 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი მიადგა. პოლიციამ ორივე პირი ბრალდებულის სახით, ცხელ კვალზე დააკავა. საქმეზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# იტალიის პოლიციამ 384 ადამიანი დააკავა და 1.4 ტონა ნარკოტიკი ამოიღო

**იტალიის პოლიციამ ქვეყნის მასშტაბით ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, 384 ადამიანი დააკავა და 1.4 ტონა ნარკოტიკი ამოიღო.**

პოლიციის განცხადებაში ნათქვამია, რომ გამოძიების ფარგლებში ისინი 655 პირს აკვირდებოდნენ.

ამასთან, პოლიციამ ამოიღო 40-ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი და რამდენიმე პროვინციაში ჩატარებული ოპერაციის შედეგად, სამ ქალაქში კანაფის ხუთი მაღაზია დროებით დახურა.

იტალიის პოლიციამ განაცხადა, რომ ამოღებულია 296 კგ კანაფის პროდუქტი, რომლებიც უკანონო ნარკოტიკებად იქნა მიჩნეული.

სანთელი

# პოეტ ვაჟა ხორნაულის არდავიწყება



**გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი ვაჟა ხორნაული.**

ვაჟა ხორნაული დაიბადა 1948 წელს დუშეთის რაიონის სოფელ კაწალხევში. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

გამოცემული აქვს წიგნები: „ცა გაზაფხულის ტოტებში“, „ჯერ ნაპირამდე შორია“, „ჯერ გულში იბადებოდა“, „დაგცადე ათასფერადა“, „წყარო მუხის ჩეროში“, „ცის და მიწის სინათლეში“, „გულს მუდამ ახსოვხარ“, „სასწაულები ისევ გრძელდება“, „სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაიელვებს“, „ყვავილი ღმერთის უბეში“, „თუ უკვდავების ვიპოვე წყარო“, „სიყვარულის ძაფზე ჩამოქნილი სიცოცხლის სანთელი“;

ავტორია ნატუროპათიულ თემაზე შექმნილი წიგნისა „სნეული, სნეული, სნეული მსოფლიო – კაცობრიობა დანაჩანგლით ითხრის სამარეს“.

**მწერალთა სახლი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობენ ვაჟა ხორნაულის ოჯახს, მეგობრებსა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს.**

# ილონ მასკის ქონებამ 700 მილიარდ დოლარს გადააჭარბა



**ჟურნალ Forbes-ის შეფასებით, Tesla-სა და SpaceX-ის მფლობელის, ილონ მასკის ქონებამ 700 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**

სულ რაღაც 5 დღის წინ, Forbes-ი მასკის ქონებას 677 მილიარდად აფასებდა და მას ისტორიაში პირველი ადამიანი უწოდა, რომლის ქონებამაც 600 მილიარდს გადააჭარბა. ამ მომენტისთვის ბიზნესმენის ქონება ზუსტად 749 მილიარდ დოლარად ფასდება. მასკის სიმდიდრის მკვეთრი მატება ჟურნალის დათვლის მეთოდის ცვლილებას უკავშირდება და არა მასკის ქონების რეალურ ზრდას.

წინა დღეს დელავერის შტატის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ბათილად ცნო მასკისთვის 2018 წელს კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ მინიჭებული Tesla-ს აქციების ოფციონების პაკეტი. ამჟამად მათი ღირებულება 139 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. სასამართლო დავების პერიოდში, Forbes მასკის ქონების გაანგარიშებისას ამ ოფციონების ღირებულების მხოლოდ 50%-ს ითვალისწინებდა, ახლა კი ის სრულად დაითვალა.

# წელს ქვემოთ პარალიზებული კოსმოსში

**ისტორიაში პირველად, კოსმოსში წელს ქვემოთ პარალიზებული ადამიანი იმყოფებოდა.**



ევროპის კოსმოსური სააგენტოს (ESA) ინჟინერი, გერმანელი მიკაელა ბენტჰაუსი ამერიკული კომერციული კომპანია Blue Origin-ის მიერ ორგანიზებული ხანმოკლე კოსმოსური ექსპედიციის ექვსკაციანი ეკიპაჟის წევრი იყო. მისი ფრენა ხომალდ New Shepard-ით 11 წუთს გაგრძელდა.

**„სიმართლე გითხრათ, ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მაგარი გამოცდილება იყო“**, – განაცხადა ბენტჰაუსმა დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ. გერმანიის ქალაქ კილის მკვიდრი, 33 წლის ქალი 2018 წელს ველოსიპედიდან გადმოვარდნის შემდეგ წელს ქვემოთ პარალიზებული დარჩა და მას შემდეგ ეტლით გადაადგილდება.

**„ვფიქრობ, საკუთარ ოცნებებზე უარი არასდროს უნდა თქვათ. ყოველთვის არსებობს მათი ახდენის მცირე შანსი“**, – თქვა ბენტჰაუსმა, რომელიც კოსმოსში ამერიკელი მილიარდერის, ჯეფ ბეზოსის კუთვნილი Blue Origin-ის მე-16 პილოტირებული ფრენის ფარგლებში მოხვდა. კომპანიის მონაცემებით, რამდენიმე წლის განმავლობაში კოსმოსურ ექსპრეს-ფრენებში მონაწილეობა დაახლოებით 80-მა კლიენტმა მიიღო.

მილოცვა

# ლამაზად შვილის გამზრდელი...



**ადამიანი** – გამოცანაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთი გახლავთ **ლევან გოჯორიშვილი**.

მართალია, ეს კალათბურთელის სიმაღლის, სამშობლოს, განუმეორებელი მარიკას და... ლუდის მოტრფიალე კაცი ჩვენი რედაქციის ყოფილი ტექნიკური რედაქტორი გახლდათ, მაგრამ ვინარჩუნებთ ინტენსიურ ურთიერთობას და დღემდე რჩება ძველი გვარდიის გაჭირვების ტალკვესად – საკმარისია რაიმე ტექნიკური პრობლემა გაგვიჩნდეს, რომ ეს გულიან-ჯიგრიანი პროფესიონალი მაშინვე გვერდში დაგვიდგება და ყველაფერს მოგვიგვარებს.

რაც შეეხება წერილის შესავალში მოცემულ მისეულ დახასიათებას, გუშინ შევიტყვეთ, რომ, თურმე, მისი ძვირფასი დედა, ქალბატონი **მერი დვალი** პროფესიით მეკავშირე ყოფილა, რომელიც პენსიაში გასვლამდე კეთილსინდისიერად ემსახურა საქართველოს კავშირგაბმულობის დარგს. ჰოდა, გამოცანაც უკვე წარსულში დარჩა – ჩვენს ძველ მეგობარს, როგორც ირკვევა, მოყვასისადმი თან გადაყოლის ადათი გენეტიკიდან მოსდგამს.

**ქალბატონმა მერიმ** ღირსეულად გადაიტანა საყვარელი მეუღლისა და სულ ახლახან – თანშეზრდილი დაიკოს დაკარგვა, ცხოვრების საზრისად კი დედისერთა ვაჟკაცისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დაუსახავს.

**იმავეს ვუსურვებთ თმაშევერცხლილ მშობელს, რომელსაც სულითა და გულით ვულოცავთ 90 წლის იუბილეს.**

**მრავალჟამიერ, ქალბატონო მერი!**

**პატივისცემით,**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

# 1 იანვრიდან ჯარიმები წესდება!

**2026 წლის პირველი იანვრიდან მძღოლები ზედმეტი ხმაურის გამო დაჯარიმდებიან.**

**ახალი წლიდან ძალაში„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ის ნორმა შედის, რომლის მიხედვით, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური კანონმდებლობით დადგენილ ნორმას აღემატება, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.**



**განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა 200 ლარი იქნება, ხოლო შემდეგ ჯერზე სატრანსპორტო საშუალების მძღოლი 300 ლარით დაჯარიმდება. აღნიშნული კანონი 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.**



# საახალწლო კონცერტები ქვეყნის მასშტაბით გაიმართება

**საქართველოს მთავრობის, კულტურის სამინისტროსა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით, ქვეყნის მასშტაბით საახალწლო ღონისძიებები გაიმართება.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, კონცერტები ჩატარდება საქართველოს ყველა რეგიონში – 62 მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანსა და წეროვანში.

მრავალფეროვან საახალწლო კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ: კულტურის სფეროში მოღვაწე ქართველი შემსრულებლები, მუსიკალური ანსამბლები, ბენდები და შემოქმედებითი კოლექტივები. პროგრამა სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრს აერთიანებს და გათვლილია ყველა ასაკის მსმენელზე.

ძირითად მუსიკალურ პროგრამასთან ერთად, ჩატარდება საბავშვო აქტივობები: ზღაპრის გმირების წარმოდგენები. ღონისძიებაზე მისულ პატარა სტუმრებს თოვლის პაპა სიმბოლურ საჩუქრებს გადასცემს. საახალწლო კონცერტების მთავარი მიზანია რეგიონებში სადღესასწაულო განწყობის შექმნა. კონცერტების სერია 20 დეკემბერს დაიწყო და 31 დეკემბრის ღამეს დასკვნითი ღონისძიებებით დასრულდება.



# „აფხაზეთი მე ვარ“!

**„აფხაზეთი მე ვარ“! – ფილმის მე-7 ნაწილის ჩვენება და შემოქმედებითი საღამო კონსტანტინე გამსახურდიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა.**

პროექტს, რომლის ფარგლებში 7 დოკუმენტურ-მხატვრული ფილმია გადაღებული, სამოქალაქო ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩები ქვეყნის მომავლისთვის“ განაგრძობს. ორგანიზაცია სრულად იზიარებს და მხარს უჭერს საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და მიზნად ისახავს ამ პოლიტიკის გამტარებელი გახდეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის მეშვეობით.

# 2025 წლის მთავარი ჯილდო – „მე აფხაზეთისთვის“

## პატრიარქს გადაეცა

**ყოველწლიური პროექტის „მე აფხაზეთისთვის“ მონაწილეთა 2025 წლის დაჯილდოება გაიმართა.**

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გიორგი ჭირაქაძის გადაწყვეტილებით, ღონისძიების მთავარი ჯილდო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარესს **ილია მეორეს** გადაეცა. ღონისძიების ფარგლებში ასევე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 12 წარმატებული ადამიანი დაჯილდოვდა, რომლებმაც საკუთარი ნიჭითა და დაუღალავი შრომით აფხაზეთის სახელი არაერთ წარმატებას დაუკავშირეს.

2025 წლის ჯილდოს მფლობელები გახდნენ: სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **ზურაბ ერქვანია,** პროფესორი და მეცნიერი **რევაზ სულუხია,** სახელმწიფო მოღვაწე **გოგი ფაცაცია,** ფილოლოგი და მკვლევარი **ნატო მარშანია,** მხატვარი **დავით გუა (ბაძაღუა)**, ჟურნალისტი **ნანა ჭანტურია,** მეცნიერი და პროფესორი **ოთარ ჟორდანია,** მსახიობი **ლილი ხურითი**, სუმოისტი **ლევან ცაგურია,** ტელეწამყვანი და „მე აფხაზეთისთვის“ იდეის ავტორი, ტელეწამყვანი **ლიკა კვარაცხელია,** მუსიკოსი **ზვიად ბოლქვაძე** და ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი **მეუფე დანიელი (დათუაშვილი).**

ნომინანტებს სპეციალური პრიზები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარიამ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ბექა ღვაჩლიანმა გადასცეს.

პროექტი „მე აფხაზეთისთვის“ აფხაზეთის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით მეექვსე წელია, იმართება.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 დეკემბერს**